



საჯარო დოკუმენტი

**მეორე და საბოლოო წლიური მონიტორინგის ანგარიში დირექტორთა საბჭოსთვის  
მაკორექტირებელი და შემარბილებელი სამოქმედო გეგმის დანერგვის შესახებ  
ჩრდილოეთ-სამხრეთ ღერუფნის (ქვეშეთი-კობი) გზის პროექტი საქართველოში  
(აზიის განვითარების ბანკის სესხი 3803)**

**აგვისტო, 2024**

წინამდებარე დოკუმენტის გამოქვეყნება ხდება აზიის განვითარების ბანკის ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის შესაბამისად.

აბრევიატურები

ADB	აზიის განვითარების ბანკი
AMP	ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკა 2012
CHMP	კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა
CRP	შესაბამისობის შემსწავლელი კომისია
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
EIA	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
EMR	გარემოს მონიტორინგის ანგარიში
FAO	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
LARP	მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა
KVDP	ხადას ხეობის განვითარების გეგმა
MAP	შემარბილებელი სამოქმედო გეგმა
MOESD	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
NACHP	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
PCR	ფიზიკური კულტურული რესურსები
RAP	მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმა
SEMP	კონკრეტული გარემოს მართვის გეგმა
SPS	უსაფრთხოების პოლიტიკის დებულება
SUDA	სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტო

## შენიშვნა

წინამდებარე ანგარიშის მიზნებისთვის, სიმბოლო „\$“ მიუთითებს ამერიკის შეერთებული შტატების დოლარზე.

ნებისმიერი ქვეყნის პროგრამის ან სტრატეგიის მომზადებისას, პროექტის დაფინანსებისას, ან წინამდებარე დოკუმენტში რაიმე კონკრეტულ ტერიტორიაზე ან გეოგრაფიულ არეზე მინიშნებისას, აზიის განვითარების ბანკი მიზნად არ ისახავს ტერიტორიის ან არეალის იურიდიული თუ სხვა სტატუსის შეფასებას.

## შინაარსი

მადლობის ნიშნად.....	
I. შესავალი.....	1
II. პროექტის მიმოხილვა.....	2
III. შესაბამისობის მიმოხილვა და მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმა .....	4
IV. სამოქმედო გეგმების მეორე მონიტორინგის შედეგები.....	5
A. მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმა.....	5
B. შემარბილებელი სამოქმედო გეგმა .....	10
V. დასკვნა .....	15
VI. დაკვირვება.....	18
დანართები .....	20
დანართი 1- შესაბამისობის შესწავლის მოთხოვნა .....	20
დანართი 2- დასკვნითი ანგარიში შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის მოთხოვნაზე N2021/1, ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის (ქვეშეთი-კობი) გზის პროექტი საქართველოში .....	27
დანართი 3- მონიტორინგის მისიის შეხვედრის დამსწრეების სია .....	40



## მადლობის ნიშნად

შესაბამისობის შემსწავლელი კომისია მადლობას უხდის ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის (ქვეშეთი-კობი) გზის პროექტის მეორე წლიური მონიტორინგის ანგარიშის მომზადებაში. შესაბამისობის შემსწავლელი კომისია მადლობას უხდის საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საავტომობილო გზების დეპარტამენტს, სივრცით და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოს, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერს, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს და მწვანე ალტერნატივის წარმომადგენელს, ირინა სვანიძეს ვიზიტის დროს გაწეული თანამშრომლობისთვის. შესაბამისობის შემსწავლელი კომისია დამატებით მადლობას უხდის აზიის განვითარების ბანკს (ADB), დირექტორთა საბჭოს, განსაკუთრებით შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის წევრებს, აზიის განვითარების ბანკის მენეჯმენტს და თანამშრომლებს.

## I. შესავალი

1. 2021 წლის 6 იანვარს, შესაბამისობის შემსწავლელმა კომისიამ (CRP) მიიღო შესაბამისობის შესწავლის მოთხოვნა აზიის განვითარების ბანკის (ADB) სესხ 3803 დაკავშირებით: ჩრდილოეთ-სამხრეთ ღერეფნის (ქვეშეთი-კობი) გზის პროექტი. საჩივარი წარმოდგენილი იქნა მანანა კოჭლაძის და მარიამ დევიძის, მწვანე ალტერნატივის (საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაცია) მიერ, ხადას ხეობაში მაცხოვრებელი ორზე მეტი მომჩივნის სახელით. საჩივარი უკავშირდება ჩრდილოეთ-სამხრეთ ღერეფნის მშენებლობას, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს თბილისს და მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ჩრდილოეთით და ქვემო ქართლის რეგიონს სამხრეთ საქართველოში.<sup>1</sup> საჩივარში საუბარია ADB-ის მიერ მისი ოპერაციულ პოლიტიკებთან სხვადასხვა შეუსაბამობაზე და სავარაუდო ზიანზე, რომელიც ემუქრება ხადას ხეობის მოსახლეობას თავად ხეობის განადგურებით და ალტერნატივების არასაკმარისად გათვალისწინებით; ასევე, საჩივარში საუბარია საცხოვრებელ პირობებზე ზემოქმედების და ადგილობრივი სარგებელის შესახებ; პროექტის დიზაინის პრობლემებზე და ფიზიკურ კულტურულ რესურსებზე (PCR) ზემოქმედებაზე; ასევე, გარემოს და სოციალური ზემოქმედების ანალიზის ხარისხზე, რომელიც ასახულია გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში.

2. ADB-ის სამეთვალყურეო საბჭოსთვის 2021 წლის 24 მარტს წარდგენილ შესაბამისობის ანგარიშში, CRP-მა მისაღებად მიიჩნია საჩივარი და რეკომენდაცია გაუწია დირექტორთა საბჭოს მიერ შესაბამისობის შესწავლის დადასტურებას. საბჭოსგან მიღებული თანხმობის საფუძველზე, CRP-მა 2021 წლის აპრილში დაიწყო შესაბამისობის შესწავლა, და საბოლოო ანგარიში დირექტორთა საბჭოს წარუდგინა 2022 წლის 18 ნოემბერს.<sup>2</sup> 2023 წლის 24 იანვარს, დირექტორთა საბჭომ განიხილა CRP-ის მიგნებები როგორც შესაბამისობის, ასევე შეუსაბამობის საკითხებზე, და ADB-ის მენეჯმენტს მოსთხოვა მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმის (RAP) მომზადება. ADB-ის მენეჯმენტმა შემოთავაზებული RAP საბჭოს წარუდგინა 2023 წლის აპრილში. აღნიშნული გეგმა საბჭომ დაამტკიცა 2023 წლის 19 მაისს.

3. 2012 წლის ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის (AMP)<sup>3</sup> 192 და 193 პარაგრაფების შესაბამისად, CRP მონიტორინგს უწევს საბჭოს მიერ დადასტურებული იმ მაკორექტირებელი მოქმედების დანერგვას, როლებიც შემუშავდა შესაბამისობის შესწავლის საფუძველზე და ყოველწლიურად აწვდის საბჭოს ინფორმაციას შესაბამისობის კუთხით მიღწეულ პროგრესზე. წინამდებარე მეორე და დასკვნით მონიტორინგის ანგარიშში, CRP აღწერს საბჭოს მიერ დამტკიცებული RAP დანერგვას და პროექტის შესაბამისობის შეფასებას.

---

<sup>1</sup> შესაბამისობის შემსწავლელი კომისია (CRP). 2021. [შესაბამისობის შესწავლის მოთხოვნა საქართველოში: ჩრდილოეთ-სამხრეთ ღერეფნის \(ქვეშეთი-კობი\) გზის პროექტი](#). საჩივარი და შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის ყველა ანგარიში, რომელიც უკავშირდება ამ საჩივარს, მათ შორის მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმა ხელმისაწვდომია პროექტის [საჩივრების ვებგვერდზე](#).

<sup>2</sup> CRP. 2022. [შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის საბოლოო ანგარიში მოთხოვნაზე N2021/1 ჩრდილოეთ-სამხრეთ ღერეფნის \(ქვეშეთი-კობი\) გზის პროექტი საქართველოში \(აზიის განვითარების ბანკის სესხი 3803\)](#).

<sup>3</sup> აზიის განვითარების ბანკი (ADB). 2012. [ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკა 2012](#).

4. მეორე მონიტორინგის ფარგლებში, CRP აღმოაჩინა, რომ ADB პროექტის გუნდმა სრული და დამაკმაყოფილებელი ყურადღება დაუთმო თითოეულ მოქმედებას, რომელიც გათვალისწინებული იყო როგორც RAP, ასევე შემარბილებელ სამოქმედო გეგმაში (MAP). შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშით, CRP ასრულებს მონიტორინგის ფაზას და მთლიანად შესაბამისობის შესწავლის პროცესს.

## II. პროექტის მიმოხილვა

5. პროექტი მოიცავს (ა) დაახლოებით 23 კილომეტრიანი, კლიმატ-მედეგი შემოვლითი გზის მშენებლობას ქვეშეთის და კობის მონაკვეთზე, და დაახლოებით 5 კილომეტრიანი კლიმატ-მედეგი გზის მოწყობას მიმდებარე ქალაქების და სოფლებისთვის; (ბ) ხადას ხეობის ვიზიტორების ცენტრის მოწყობას; და (გ) საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესაძლებლობების განვითარებას პროექტის და ხელშეკრულების მართვის მიმართულებით. გზის მშენებლობა, რომელიც მოიცავს 5 გვირაბის (მათ შორის 9 კილომეტრიანი გვირაბი არის საქართველოში ყველაზე გრძელი) და 5 ხიდის (ერთერთი მათგანი არის თაღისებრი) მოწყობას, არის პროექტი, რომელიც გადის მთიან რელიეფზე, და ფარავს ხადას- 60 კოშკის ხეობას. ADB-ის სესხი საბჭოს მიერ დამტკიცდა 2019 წლის 1 აგვისტოს; ხელი მოეწერა 2019 წლის 27 აგვისტოს, და ძალაში შევიდა 2019 წლის 28 ოქტომბერს.

6. პროექტის ჯამური ღირებულება შეადგენს 558.6 მილიონ აშშ დოლარს, აქედან 415 მილიონი აშშ დოლარი ფინანსდება ADB-ის მიერ; 60 მილიონი აშშ დოლარი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ (EBRD); ხილო 83.6 მილიონი აშშ დოლარი მთავრობის მხრიდან. პროექტის დასრულება მოსალოდნელია 2026 წლის 31 დეკემბერს. მსესხებელი არის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ხოლო განმახორციელებელი სააგენტო არის რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი. პროექტის მართვას და მშენებლობის ზედამხედველობას ახორციელებს (შემდგომი მოხსენიებულია, როგორც ზედამხედველობის კონსულტანტი) Uluslararası Birleşmiş Müşavirlik A.Ş. (UBM), შპს „China Railway Tunnel Group Co.“ გვირაბების მონაკვეთის (ლოტ 1) კონტრაქტორი, ხოლო შპს „the China Railway 23rd Bureau Group Co.“ პასუხისმგებელია ლოტ 2 გზის მონაკვეთის მშენებლობაზე. ADB, სატრანსპორტო სექტორის სამსახური, სექტორის ჯგუფი (SG-TRA) პასუხისმგებელია პროექტის ადმინისტრირებაზე.

7. გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების და მიწის შესყიდვის მხრიდან დაახლოებით 158 კომლზე- აქედან 30 ოჯახი წარმოადგენს მოწყვლად ჯგუფს-პირდაპირი ზემოქმედების გამო პროექტი წარმოადგენს A კატეგორიის პროექტს როგორც გარემოზე, ასევე იძულებითი განსახლების კუთხით, როგორც ეს ADB-ის 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის დებულებით (SPS) არის განსაზღვრული. პროექტის მკვიდრ მოსახლეობაზე ზემოქმედების კუთხით წარმოადგენს C კატეგორიას. ორივე ვებგვერდზე- საავტომობილო გზების დეპარტამენტის და ADB-ის ვებგვერდებზე განთავსებული საპროექტო დოკუმენტაცია მოიცავს 2018 წლის დეკემბრის [გარემოზე ზემოქმედების შეფასების \(EIA\) პროექტს](#); 2019 წლის აპრილის [საბოლოო EIA](#); ლოტი 1 მიწის შესყიდვის და განსახლების გეგმებს (LAPR) (სხვა სიტყვებით მონაკვეთი, რომელზეც



განთავსებულია ყველაზე გრძელი გვირაბი), და ლოტი 2 (სხვა სიტყვებით მთავარი გზის მონაკვეთი); და დანერგვისთვის გამზადებულ LAPR დოკუმენტებს.

8. EIA პროექტის ADB-ის შიდა განხილვის შემდეგ, საბოლოო EIA ანგარიშში გათვალისწინებული იქნა დამატებითი ეკოლოგიური კვლევები და კრიტიკული ჰაბიტატის შეფასება; ხმაურის მოდელირების დეტალები; ზაქათკარის ვიზიტორების ცენტრის კონცეფციის ვრცელი აღწერილობა და ილუსტრაცია; და კონკრეტული გარემოს მართვის გეგმის (SEMP) ჩარჩო და შრომითი, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების გეგმების ნიმუშები. ჩამოთვლილთაგან ზოგიერთი მომზადდა დამატებითი რესურსების გამოყენებით, რომლებიც პროექტის მომზადების მიზნებისთვის გამოიყო ADB და EBRD მიერ. საბოლოო ჩამოყალიბებამდე LARP განხილვასთან ერთად, ADB-მა საპროექტო ტერიტორიაზე ჩაატარა მიწის საბაზრო ღირებულების დამოუკიდებელი კვლევა. კვლევის მიზნებისთვის, შეირჩა მიწის ნაკვეთები ლოტი 1 და 2 ტერიტორიაზე. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ შეთავაზებული კომპენსაცია აკმაყოფილებს ან აჭარბებს მოქმედ საბაზრო ღირებულებას.

9. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა მომზადდა პროექტისთვის, როგორც ეს EBRD მოთხოვნებით არის გათვალისწინებული. გეგმაში აისახა 45 საკონსულტაციო ღონისძიება, რომლებიც 2018 წლის აპრილიდან 2019 წლის ივნისის პერიოდში გაიმართა. ამ კონსულტაციებიდან 25 მოიცავდა გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებს და გაიმართა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების და სხვა დაინტერესებული მხარეების შეხვედრების გასაცნობად. დოკუმენტში ასევე აისახა ჩართულობის უწყვეტობის პროცესი.

10. დამატებითი უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კვლევები და ანგარიშები მომზადდა და დასრულდა პროექტის დანერგვის დროს. მათ შორის: (ა) თემის საჭიროებების შეფასება (CNA); (ბ) კულტურული მემკვიდრეობის გენერალური სამოქმედო გეგმა (CHGAP); (გ) დიდველის, ხადას ხეობის არქეოლოგიური სამუშაოები; (დ) დროებითი ნაგებობების შეფასების ანგარიში; (ე) პროექტის სპეციფიკური გარემოს მართვის გეგმა (SEMP); (ვ) ხმაურის მოდელირების კვლევა; (ზ) ისტორიულ-კულტურული გეგმა (HRCP) ხადას ხეობისთვის; (თ) ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში; და (ი) კულტურული მემკვიდრეობის მართვის დანერგვის შესწავლა ჩარლზ ლე კუენეს მიერ. ხადას ხეობის განვითარების გეგმა (KVDP) და პრიორიტეტული ინვესტიციის გეგმა დასრულების ეტაპზეა.

11. გარემო და სოციალური ზემოქმედების მასშტაბების და საქართველოს მთავრობისთვის პროექტის მნიშვნელობის გათვალისწინებით, პროექტისთვის გამოიყო მნიშვნელოვანი რესურსები როგორც დამატებითი კვლევების, ასევე პერსონალის კუთხით, რომელიც მობილიზებული იქნა უსაფრთხოების საკითხების მართვის და დანერგვისთვის.

### III. შესაბამისობის მიმოხილვა და მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმა

12. შესაბამისობის შესწავლისას CRP-მა შეაფასა პროექტის ADB-ის ქვემოთ ჩამოთვლილ პოლიტიკებთან და ოპერაციულ პროცედურებთან შესაბამისობა, რომლებიც მოქმედებდნენ პროექტის მომზადების და დამტკიცების პროცესში.

- a) უსაფრთხოების პოლიტიკის დებულება (2009);
- b) ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (2018);
- c) ოპერაციული სახელმძღვანელო ნაწილი F1 (უსაფრთხოების პოლიტიკის დებულება) გამოცემული 2013 წლის 1 ოქტომბერს;
- d) ოპერაციული სახელმძღვანელო ნაწილი C2 (გენდერი და განვითარება ADB-ის ოპერაციებში) გამოცემული 2010 წლის 6 დეკემბერს;
- e) ოპერაციული სახელმძღვანელო ნაწილი C3 (სოციალური საკითხების გათვალისწინება ADB-ის ოპერაციებში) გამოცემული 2010 წლის 6 დეკემბერს; და
- f) სახელმძღვანელო ნაწილი L3 (ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა) გამოცემული 2019 წლის 28 იანვარს.

13. შესაბამისობის შესწავლის ანგარიშში CRP-მა გამოავლინა ADB-ის მიერ შემდეგი პასუხისმგებლობების დარღვევა: საბჭოს მიერ დამტკიცებული გარემოს ზემოქმედების შეფასების განხილვის პასუხისმგებლობა; ჰაერის ხარისხის მონიტორინგის, ხმაურის ზემოქმედების მონიტორინგის, მიწის შესყიდვით გამოწვეული უარყოფით ზემოქმედების, თემის მიწაზე წვდომის, ვიზუალურ ლანდშაფტის და ოპერაციული ფაზით გამოწვეული დაბინძურების, ნარჩენების, თემის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დარღვევები; დარღვევები, რომლებიც უკავშირდებოდა გენდერული საკითხების ოპერაციულ ფაზაში გათვალისწინებას, ფულადი და ნაღდი სახით დახმარებას საცხოვრებელი პირობების აღდგენის და გაუმჯობესებისთვის LARP ფარგლებში; და საბჭოს მიერ დადასტურების შემდგომი მონიტორინგის და ზედამხედველობის პასუხისმგებლობები; პროექტის დიზაინში სოციალური სარგებელის მაქსიმუმამდე გაზრდის უზრუნველყოფა; და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა გარემოს მონიტორინგის ანგარიშების, SEMP (სპეციფიკური გარემოს მართვის გეგმები და კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული გარემოს მართვის გეგმები), და PCR დაკავშირებული საბაზისო შეფასება; ADB-ის მხრიდან პროცესების ზედამხედველობა, რომელიც არ შეესაბამებოდა პროექტის რისკებს და ზემოქმედებას.

14. CRP ასევე აღნიშნა, რომ ზემოთ ჩამოთვლილმა შეუსაბამობა ზოგიერთ შემთხვევაში გამოიწვია ზიანი, და არსებობდა ზიანის გამოწვევის რისკებიც. იმ შემთხვევებში, როდესაც ზიანი მკაფიოდ იყო განსაზღვრული, CRP-მა ADB-ის მენეჯმენტს მოსთხოვა მაკორექტირებელი მოქმედებების განხორციელება. მეორეს მხრივ, იმ შემთხვევებში, როდესაც შეუსაბამობა მოიცავდა ნარჩენი რისკებს, რომლებიც მომავალში გამოიწვევა ზიანს, CRP-მა რეკომენდაცია გაუწია მაკორექტირებელი მოქმედებების ჩატარებას. საბჭოს მიერ დამტკიცებულ CRP-ის ანგარიშზე პასუხად, ADB-ის მენეჯმენტმა წამოაყენა წინადადება ნარჩენ რისკზე რეაგირების მიზნით შემოთავაზებული მოქმედებების MAP-ში გათვალისწინების შესახებ. დამატებით, ADB-

ის მენეჯმენტმა აიღო ვალდებულება RAP და MAP-ში გათვალისწინებული მოქმედებების დანერგვაზე.

#### IV. სამოქმედო გეგმების მეორე მონიტორინგის შედეგები

15. წინამდებარე მეორე მონიტორინგის ანგარიში ეფუძნება (ა) ADB-ის პროექტის გუნდის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვას; (ბ) ADB-ის პროექტის გუნდთან, მწვანე ალტერნატივის წარმომადგენლებთან, თემის წევრებთან და საქართველოს შესაბამისი სამთავრობო სამსახურების წარმომადგენლებთან ჩატარებულ შეხვედრებს; და (გ) ადვილზე ჩატარებულ ვიზიტს, რომელიც განხორციელდა 2024 წლის 4-7 ივნისს, CRP თავმჯდომარის, ელიზა გოზუნის და CRP წევრების ვაიდესვარან სანკარანის და ინბალ ჯალოვსკის მონაწილეობით. CRP-მა მიიღო ყველა ზომა მომჩივნებთან შეხვედრისთვის. თუმცა, მოცემული ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები ვერ განხორციელდა. დანართ 3-ში წარმოდგენილია იმ პირების სია, რომლებიც CRP წარმომადგენლებს შეხვდნენ ვიზიტის დროს.

##### A. მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმა

**1. მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმა 1(a)- ფიზიკური კულტურული რესურსები (PCR) საბაზისო შეფასება, და 1(b) კულტურულ ლანდშაფტზე ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი მოქმედებები**

16. პირველი წლიური მონიტორინგის ანგარიშში, CRP აღნიშნავს, რომ PCR შეფასება (RAP 1(a)) დასრულდა და კონსოლიდირებული PCR გამოქვეყნდა პროექტის ვებგვერდზე 2023 წლის 16 ივნისს. CRP დაადგინა, რომ ADB სრულად შეესაბამებოდა RAP 1(a) მოთხოვნებს.

No.	ADB შესაბამისობის მიგნებები	მოქმედების აღწერა	დანერგვის პროგრესი
1(b)	PCR. კულტურულ ლანდშაფტზე ზემოქმედების შეფასება და შემარბილება	საავტომობილო გზების დეპარტამენტი პროექტის ვებგვერდზე გამოაქვეყნებს საბოლოო ისტორიულ-კულტურულ გეგმას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს (NACHP) მოთხოვნების შესაბამისად.  ისტორიულ-კულტურული გეგმა მოიცავს კულტურული ლანდშაფტის შეფასებას და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდებარეობის შესახებ ინფორმაციას. <b>დასრულების თარიღი: 2023 წლის დეკემბერი</b>	<b>დასრულებული.</b> საბოლოო ისტორიულ-კულტურული გეგმა მომზადდა NACHP მიერ და გამოქვეყნდა პროექტის ვებგვერდზე (სათაური „კულტურული მემკვიდრეობის გეგმა- საბოლოო დოკუმენტი“).  ისტორიულ-კულტურული გეგმა მოიცავს კულტურული ლანდშაფტის შეფასებას და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდებარეობის შესახებ ინფორმაციას.

		<p>საავტომობილო გზების დეპარტამენტი პროექტის ვებგვერდზე გამოაქვეყნებს ხადას ხეობის განვითარების გეგმის საბოლოო პროექტს (KVDP), რომელიც თავდაპირველად მიწოდება MOESD დამტკიცებისთვის.</p> <p>KVDP დაეფუძნება ისტორიულ- კულტურულ გეგმას და მოიცავს ზომებს პროექტის კულტურულ ლანდშაფტზე ზემოქმედების შერბილების ზომებს.</p> <p><b>დასრულების თარიღი: 2023 წლის დეკემბერი</b></p>	<p><b>დასრულებული.</b> KVDP საბოლოო პროექტი უკვე წარდგენილია MOESD დადასტურებისთვის.</p> <p>საბოლოო KVDP პროექტი გამოქვეყნდა პროექტის ვებგვერდზე (სათაური „KVDP პროექტი“).</p> <p>მოთხოვნების შესაბამისად, KVDP საბოლოო პროექტი ეფუძნება ისტორიულ-კულტურულ გეგმას. ყველა ჩამოთვლილი შესრულდა დასრულების თარიღისთვის.</p>
--	--	---	--

17. **მიგნებები:** კონკრეტულად RAP 1(b) მიმართებით, CRP-მა პირველი ყოველწლიური მონიტორინგის ანგარიშში აღნიშნა, რომ შესაბამისად მიმდინარეობდა კულტურულ ლანდშაფტზე ზემოქმედების შეფასების და შერბილების პროცესები. ისტორიულ-კულტურული გეგმა დასრულდა და წარედგინა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს (NACHP) დამტკიცებისთვის. ADB-ის პროექტის გუნდის მიერ CRP-თვის წარდგენილი მეორე ანგარიშის თანახმად, NACHP დაასრულა შეფასების პროცესი და წინასწარ დადგინდა ვადებში დაამტკიცა ისტორიულ-კულტურული გეგმა (2023 წლის დეკემბერი). დამატებით, KVDP საბოლოო პროექტი უკვე წარედგინა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (MOESD) დასამტკიცებლად. აღნიშნული პროცესის დასრულება მოსალოდნელია 2024 წლის 15 აგვისტოსთვის. შემდგომში, ნებართვების გაცემა მოხდება KVDP შესაბამისად, და დაიწყება ხადას ხეობის ორგანიზებული განვითარების ახალი ფაზა. CRP-სთან გამართული შეხვედრის დროს, ღუშეთის მერმა აღნიშნა, რომ მიუხედავად სირთულისა ის მაღლიერებას გამოთქვამს ჩრდილოეთ-სამხრეთ ღერეფის (ქვეშეთი-კობი) გზის პროექტის ფარგლებში KVDP დანერგვისთვის, რადგან ეს არის მნიშვნელოვანი ხელსაწყო რეგიონის სტრატეგიული განვითარებისთვის.

18. CRP-ს ეცნობა, რომ ისტორიულ-კულტურული გეგმის კულტურული მემკვიდრეობის წამყვანი კონსულტანტი წარმოადგენდა იმ გუნდის წევრს, რომელმაც შეიმუშავა KVDP. აღნიშნულმა ხელი შეუწყო ორივე გეგმის უხარვეზო ინტეგრირებას. დოკუმენტების პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი თემების და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობით გაიმართა რამდენიმე ფოკუს ჯგუფის განხილვა და სხვა საკონსულტაციო ღონისძიებები. მერმა, ისევე როგორც SUDA აღნიშნა, რომ რამდენიმე ფოკუს ჯგუფის ჩატარებამ ხელი შეუწყო შეხედულებების გაზიარებას, ასევე სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. საზოგადოების მხრიდან კომენტარების დაფიქსირების ვადის ამოწურვის პერიოდისთვის (2024 წლის 4 ივნისი) ახალი კომენტარები არ დაფიქსირებულა. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ასოციაცია, სოფლის განვითარების სააგენტო, და აწარმოე საქართველოში ასევე მონაწილეობდა

კონსულტაციის პროცესში, რა დროსაც მოხდა ადგილობრივი თემებისთვის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამების შესაძლებლობების წარდგენა.

19. **დასკვნა.** ADB სრულ შესაბამისობაშია მაკორექტირებელი მოქმედებების კუთხით.

**2. მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმა 2- მიწის დროებითი გამოყენება**

No.	ADB შესაბამისობის მიგნებები	მოქმედების აღწერა	დანერგვის პროგრესი
2	<p><b>სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედება</b></p> <p>სამუშაოს კონტრაქტორების მიერ მიწის დროებით დაკავება</p>	<p>საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ა) მოამზადებს სახელმძღვანელოს სამუშაოების კონტრაქტორებისთვის მიწის დროებით გამოყენებაზე და (ბ) მიიღებს ზომებს სახელმძღვანელოთი განსაზღვრულ მოთხოვნების დანერგვის და ეფექტურობის უზრუნველყოფისთვის.</p> <p>სახელმძღვანელო მომზადდება ADB-ის SPS მოთხოვნების შესაბამისად და გათვალისწინებული იქნება პროცედურები ფასის განსაზღვრის, მოლაპარაკების, კომპენსაციის და ხელშეკრულების გაფორმებისთვის.</p> <p><b>დასრულების თარიღი: 2023 წლის სექტემბერი</b></p>	<p><b>დასრულებული.</b> სახელმძღვანელო მიწის დროებით გამოყენებაზე მომზადდა და წარედგინა CRP-ს დადგენილ ვადებში.</p> <p>მიღებულია სპეციალური ზომები სახელმძღვანელოს დანერგვის და ეფექტურობის მონიტორინგის მიზნით.</p>

20. **მიგნებები.** როგორც ეს CRP-ის პირველ წლიური მონიტორინგის ანგარიშში არის მითითებული, CRP-მა დაადგინა, რომ მიწით დროებითი სარგებლობის სახელმძღვანელო მომზადდა SPS მოთხოვნების გათვალისწინებით. 2023 წლის ოქტომბერში კონტრაქტორის ჯგუფებს UBM-მა ჩაუტარა სწავლება. სახელმძღვანელოების შესაბამისად, დანერგვის მონიტორინგს განახორციელებს ზედამხედველობის კონსულტანტის უსაფრთხოების გუნდი. პირველი მონიტორინგის მისიის დროს, CRP-მა შეიტყო, რომ გუდაურის გზის მოწყობისთვის აღარ არსებობდა მიწის დროებითი გამოყენების საჭიროება. შესაბამისად, ხსენებული სახელმძღვანელოები შეიძლება დაინერგოს პროექტის დასრულების ეტაპზე დროებითი გამოყენების მიწებზე ხელშეკრულებების ამოწურვისას.

21. CRP-მა აღმოაჩინა, რომ ზოგიერთი ხელშეკრულება გახანგრძლივდა და პირველი ხელშეკრულების ამოწურვა მოსალოდნელია 2024 წლის აგვისტოსთვის. განხილვებმა აჩვენა, რომ ხელმისაწვდომი იყო დანერგვის და ეფექტურობის მონიტორინგის ხელსაწყოები. დადასტურდა, რომ ეს იქნება რეგულარული მონიტორინგის ნაწილი, მათ შორის ყოველკვირეული გარემოს და სოციალური მონიტორინგის ნაწილი, და რომ ზედამხედველობის

კონსულტანტი უზრუნველყოფს სახელმძღვანელოების მოთხოვნების გათვალისწინებას. სახელმძღვანელოების ეფექტურობა შეიძლება შეფასდეს მხოლოდ არსებული ხელშეკრულების ამოწურვის დროს, რეგულარული მონიტორინგის და ზედამხედველობის პირობებში.

22. **დასკვნა.** ADB სრულ შესაბამისობაშია მაკორექტირებელი მოქმედებების კუთხით.

**3. მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმა 3- შემოსავლის და საცხოვრებელი პირობების აღდგენა**

23. პირველი წლიური მონიტორინგის ანგარიშში, CRP-ამ აღნიშნა, რომ თემთან კონსულტაციის ფარგლებში და საჭიროებების შეფასებაზე დაყრდნობით მომზადდა და პროექტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა საცხოვრებელი პირობების აღდგენის გეგმა. საცხოვრებელი პირობების აღდგენის არა-მატერიალური ვალდებულებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იყო LARP გეგმით ეცნობა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მოსახლეობას. ADB-ის შეუსაბამობა დაფიქსირდა მოქმედებების 2023 წლის ივნისის მდგომარეობით შეუსრულებლობის კუთხით.

No.	ADB შეუსაბამობის მიგნებები	მოქმედების აღწერა	დანერგვის პროგრესი
2	<p><b>იძულებითი განსახლება</b> შემოსავლის და საცხოვრებელი პირობების აღდგენა</p>	<p>საავტომობილო გზების დეპარტამენტი ხელს შეუწყობს არა-მატერიალური დახმარების აღმოჩენას შემოსავლის ან საცხოვრებელი პირობების აღდგენის ან გაუმჯობესების მიზნით, რისთვისაც ჩატარდება სამიზნე და პრაქტიკული სასწავლო სესიები და სხვა შესაბამისი ჩარევები.</p> <p>აღნიშნული დახმარება გაუმჯობესებს ფერმერული საქმიანობას და სურსათის უვნებლობას, ხელს შეუწყობს ადგილობრივ წარმოებას, რაც თავის მხრივ გაუმჯობესებს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების მდგომარეობას, ან სულ მცირე აღადგენს მათი შემოსავლის შესაძლებლობებს, წარმოების დონეს, და საცხოვრებელი პირობების იმ სტანდარტებს, რომლებიც არსებობდა განსახლების წინ.</p> <p><b>დასრულების თარიღი: 2023 წლის დეკემბერი</b></p>	<p><b>დასრულებული.</b> გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO) დახმარება აღმოუჩინა ხადას ხეობის ადგილობრივ თემებს სამიზნე და პრაქტიკული სწავლებების ჩატარების და შესაბამისი ჩარევების განხორციელების კუთხით. შედეგები მოიცავდა რძის წარმოების ზრდას და რძის ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე ახალი სახეობის ყველის წარმოებას, რითაც გაიზარდა საბაზრო ფასი. თემებთან გასაუბრებამ აჩვენა გაწეული დახმარების სარგებელი.</p>

24. **მიგნებები.** CRP-იას მიაჩნია, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ხელი შეიწყო არა-ფულადი დახმარების გაწევის გზით შემოსავლის და საცხოვრებელი პირობების აღდგენას FAO

ჩართულობით. აღნიშნული პროცესი დაიწყო (ა) ზოგადი საჭიროებების შეფასებით; (ბ) რძის პროდუქტების ფერმერების, ბოსტნეულის მწარმოებლების და მეფუტკრეების შერჩევით; (გ) ფერმერული სკოლების დაარსებით; (დ) სასწავლო სესიების მომზადებით და ჩატარებით; და (ე) ფერმერული სკოლებისთვის ხელსაწყოების და აღჭურვილობის მიწოდებით. რძის წარმოების მიმართულებით გადამზადდა 65 მონაწილე, 34 ბოსტნეულის მწარმოებელი, და 4 მეფუტკრე. აღნიშნული სწავლებები ჩატარდა ფერმერების სავსე სკოლების დახმარებით, მერძეეობის ფერმებში, ბოსტნეულის მწარმოებლებთან, და მეფუტკრეებთან. FAO-ის 2024 წლის ივნისის ანგარიშის თანახმად, ჯამში გადამზადდა 72 სხვადასხვა მიმართულების მონაწილე, და ზოგიერთი ფერმერი მონაწილეობდა ერთზე მეტ სწავლებაში. ტრენერებს მონაწილეებისთვის უდნა გაეზიარებინათ საკუთარი ცოდნა და ხელსაწყოები, რომლებიც ხელმისაწვდომია შესაბამის სფეროში.

25. CRP-მა ჩაატარა გასაუბრებები თემის შერჩეულ წევრებთან და განიხილა FAO ჩართულობა და მიიღო დადებითი უკუკავშირი აღნიშნული ჩართულობის ეფექტურობაზე. მონაწილეებმა ასევე აღნიშნეს მოტობლოკების შესყიდვა, რაც ხელს შეუწყობს მიწის მომზადების გაუმჯობესებას და ბოსტნეულის ფერმერების მიერ მიწის დროულ დამუშავებას.

26. CRP-მა აღნიშნა, რომ სასარგებლო იქნებოდა FAO-ის ჩართულობის გაგრძელება პირველი ფაზის შემდეგ, რომელიც 2024 წლის სექტემბერში სრულდება. აღნიშნული ჩართულობა ხელს შეუწყობს წარმოების სრული ციკლის დასრულებას და გადრმავედა ინიციატივის შედეგებიც. ADB-ის პროექტის გუნდთან ჩატარებულ დასკვნით შეხვედრაზე, CRP წამოაყენა წინადადება FAO-სთან ხელშეკრულების გაგრძელების შესახებ. აღნიშნულმა წინადადებამ დადებითი გამოხმაურება მიიღო.

27. **დასკვნა.** ADB სრულ შესაბამისობაშია მაკორექტირებელი მოქმედებების კუთხით.

**4. მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმა 4- მონიტორინგი და ზედამხედველობა**

28. ეს მოქმედება ნაწილობრივ შესაბამისობაშია, როგორც ეს CRP-ის პირველი წლიური მონიტორინგის ანგარიშში არის მითითებული. CRP აღნიშნავს, რომ მართალია ADB-ის მონიტორინგის და ზედამხედველობის სისტემამ უსაფრთხოების პრობლემების მიკვლევის და გადაჭრისთვის გააუმჯობესა მონიტორინგი და ზედამხედველობა, ხანგრძლივი და მაღალი რისკის შემცველი საკითხები გარკვევით არ ასახულა ნახევარ წლიანი მონიტორინგის ანგარიშებში.

No.	ADB შესაბამისობის მიგნებები	მოქმედების აღწერა	დანერგვის პროგრესი
4	მონიტორინგი და ზედამხედველობა ADB-ის მონიტორინგი და ზედამხედველობა	ADB მოამზადებს შემაჯამებელ ანგარიშს გადაჭრის ახალი პროცედურების დანერგვის და მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმის (გეგმების) შესახებ, ასეთის	<b>დასრულებული.</b> მიმდინარეობს საჩივრების კონტროლი და ყოველკვირეულად, რაც წარმოადგენს ზოგადი უსაფრთხოების მონიტორინგის

	არსებობის შემთხვევაში, 2023 წლის ივლისი-დეკემბრისთვის. <b>დასრულების თარიღი. 2024 წლის იანვარი</b>	ნაწილს. შემაჯამებელი ანგარიში მომზადდა და წარდგენილია.
--	---	--

29. **მიგნებები.** CRP-ამ დაადგინა, რომ ყოველკვირეული მონიტორინგის ანგარიშები მოიცავს რეაგირების მექანიზმს, რათა მოხდეს პრობლემების გადაჭრა და შესაბამისობის დროული უზრუნველყოფა. CRP-ამ ასევე დაადგინა, რომ მაღალი რისკის და გრძელვადიანი პრობლემები დარეგულირდა 2023 წლის ივლისი-დეკემბრის ანგარიშით, ხოლო ADB-ის პროექტის გუნდთან ჩატარებული შეხვედრები მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნულ პრობლემებზე რეაგირება გრძელდება.

30. CRP-მა განიხილა საჩივრების შემაჯამებელი ანგარიში, რომელშიც აღწერილია მონიტორინგის და ზედამხედველობის მეთოდოლოგია, დანერგვის შესრულების და შემოწმების გზები, და პროცესში წარმოქმნილი პრობლემები და მათზე რეაგირება. შეჯამებაში ასევე ასახული იყო ანგარიშების პერიოდში პრობლემების გადაჭრის გზები და საავტომობილო გზების დეპარტამენტის და ზედამხედველობის კონსულტანტების მხრიდან საჩივრებზე რეაგირების მექანიზმის ჩანაწერების ანალიზი. CRP-მა დაადგინა, რომ შემაჯამებელ ანგარიშში მონიტორინგის და ზედამხედველობის სისტემები არის აქტიური და ხელსაწყოები ადეკვატური.

31. **დასკვნა.** ADB სრულ შესაბამისობაშია მაკორექტირებელი მოქმედებების კუთხით.

## B. შემარბილებელი სამოქმედო გეგმა

### 1. შემარბილებელი სამოქმედო გეგმა 1- პროექტით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება და შერბილება

32. პირველი წლიური მონიტორინგის ანგარიშში, CRP აღნიშნავს, რომ გარემოს პირველადი შემოწმება გუდაურის მისასვლელი გზისთვის (ზაქათკარი-სეთურების მონაკვეთი) მომზადდა და გამოქვეყნდა პროექტის ვებგვერდზე ვადის ამოწურვამდე. CRP აცხადებს, რომ იმ მოქმედებასთან მიმართებით, რომელიც უნდა განხორციელებულიყო 2023 წლის ივნისისთვის ADB არის სრულ შესაბამისობაში.

No.	ADB შესაბამისობის მიგნებები	მოქმედების აღწერა	დანერგვის პროგრესი
1	პროექტით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება და შერბილება	საავტომობილო გზების დეპარტამენტი პროექტის ვებგვერდზე გამოაქვეყნებს ხადას ხეობის განვითარების გეგმის პროექტს, რომელიც MOESD წარედგინება დამტკიცებისთვის.  ხადას ხეობის განვითარების გეგმაში გათვალისწინებული იქნება სტრატეგიული გარემოს შეფასების	<b>დასრულებული.</b> KVDP საბოლოო ვერსია გამოქვეყნდა და საზოგადოებას მიეცა კომენტარების გაკეთების შესაძლებლობა. სტრატეგიული გარემოს შეფასების მიგნებები (და განვითარების ზემოქმედების ანალიზი) გათვალისწინებული იქნა გეგმაში.



	<p>მიგნებები, რომლებიც მოიცავს პროექტით გამოწვეულ ზემოქმედებას.  <b>დასრულების თარიღი: 2023 წლის დეკემბერი</b></p>	<p>დამატებით, KVDP წარედგინა MOESD და გადაინაცვლა დამტკიცების მოწინავე ეტაპზე.</p>
--	--	--

33. **მიგნებები.** CRP აღნიშნავს, რომ KVDP მომზადება მოხდა მოსალოდნელზე სწრაფად. CRP ინფორმირებული იყო, რომ KVDP წარედგინა MOESD, და რომ ის დამტკიცების დასკვნით საფეხურებზე იყო. KVDP უნდა დამტკიცდეს MOESD-ის მიერ, და დაინერგოს მუნიციპალიტეტების დონეზე, და მეტწილად დუშეთის მუნიციპალიტეტში.

34. CRP შეხვდა დუშეთის მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც კმაყოფილი და მადლიერი იყო პროექტის მიერ KVDP დამტკიცების კუთხით გაწეული დახმარებით. KVDP მომზადდა პროფესიონალურად, თეორიული საკითხების გათვალისწინებით. შემდგომ რამდენიმე ფოკუს ჯგუფის და სხვა საკონსულტაციო ღონისძიების ფარგლებში მიღებული იქნა თემის უკუკავშირი. KVDP საბოლოო პროექტი დამატებით გამოქვეყნდა საზოგადოებისგან კომენტარების მიღების მიზნით. KVDP საბოლოო პროექტის დამტკიცების შემდეგ (მოსალოდნელია 2024 წლის 15 აგვისტოს), განვითარების ნებართვების, მათ შორის სამშენებლო ნებართვების გაცემა მოხდება გეგმის შესაბამისად და განვითარების ახალი ფაზა დაიწყება ხადას ხეობაში. მერმა აღნიშნა, რომ გეგმის პროცესი გამოწვევებთან იქნებოდა დაკავშირებული, მაგრამ აქვე გამოთქვა მადლიერება, რადგან დაგეგმილი მოქმედებები უმნიშვნელოვანესია რეგიონის სტრატეგიული განვითარებისთვის.

35. **დასკვნა.** ADB სრულ შესაბამისობაშია მაკორექტირებელი მოქმედებების კუთხით.

**2. შემარბილებელი სამოქმედო გეგმა 2- PCR-ზე პროექტით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება და შერბილება**

36. პირველი წლიური მონიტორინგის ანგარიშში, CRP აღნიშნავს, რომ ეს კონკრეტული მოქმედება იყო სრულ შესაბამისობაში. კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმები ლოტი 1 და 2 განახლდა, დამტკიცდა საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, და CRP-ს წარედგინა ვადების დაცვით (2023 წლის სექტემბერი).

**3. შემარბილებელი სამოქმედო გეგმა 3- ფიზიკური კულტურული რესურსების ზედამხედველობა**

37. CRP დაადგინა, რომ ეს მომ ქმედება სრულად შეესაბამებოდა SPS 57-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, როგორც ეს პირველი წლიური მონიტორინგის ანგარიშში იყო მითითებული. PCR მონიტორინგის და მიკვლევადობის სისტემა შემუშავდა NACHP კვლევის საფუძველზე, და მოიცავს ონლაინ რუკას, რომელიც გვათავაზობს და ინახავს განახლებულ ინფორმაციას საპროექტო ტერიტორიაზე არსებული თითოეული კულტურული ძეგლის შესახებ. ეს არის ინოვაციური ხელსაწყო როგორც ADB პროექტის გუნდის, ასევე სხვა დაინტერესებული

მხარეებისთვის. თუმცა, იმ კონკრეტული მომენტისთვის, CRP-მა აღნიშნა, რომ დანერგვის ეფექტურობა ჯერ თვალსაჩინო არ იყო.

38. **მიგნებები.** აღნიშნული მონიტორინგის მისიის ფარგლებში CRP-მა მიიღო პრეზენტაცია PCR მიკვლევადობის სისტემების ფუნქციონირებაზე. CRP დაადგინა, რომ კონტრაქტორების და ზედამხედველობის კონსულტანტების კულტურული მემკვიდრეობის მონიტორინგის/პერსონალის მიერ მიკვლევადობის სისტემის გამოყენებით ხორციელდებოდა კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმით გათვალისწინებული ყველა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის მონიტორინგი. საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრის დროს, CRP-ას ეცნობა, რომ მიკვლევადობის სისტემა უკვე გამოიყენებოდა საქართველოში არსებული ყველა სხვა შესაბამისი პროექტისთვის.

39. **დასკვნა.** ADB სრულ შესაბამისობაშია მაკორექტირებელი მოქმედებების კუთხით.

**4. შემარბილებელი სამოქმედო გეგმა 4- მიწის ხელმისაწვდომობა თემისთვის**

40. CRP-ის პირველი მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, აღინიშნა, რომ ზაქარტყარის სიახლოვეს ორი შემოვლითი გზის პროექტის დამტკიცება და მიმდინარე მშენებლობა ხელმისაწვდომს გახდიდა მიწას დიდველის პლატოზე. აღნიშნული გზების მშენებლობა, სოციალური პასუხისმგებლობის ანგარიშის თანახმად, ადასტურებს, რომ იძულებითი განსახლება და ამ პროცესით გამოწვეული ზემოქმედება არ მოხდება. CRP-მა დაადგინა, რომ აღნიშნული მიმართულებით ADB იყო შესაბამისობაში.

**5. შემარბილებელი სამოქმედო გეგმა 5- ვიზუალურ ლანდშაფტზე ზემოქმედების შეფასება და შერბილება**

No.	ADB შესაბამისობის მიგნებები	მოქმედების აღწერა	დანერგვის პროგრესი
5	სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედება. ვიზუალურ ლანდშაფტზე ზემოქმედების შეფასება და შერბილება.	საავტომობილო გზების დეპარტამენტი მოამზადეს პროექტების ვიზუალურ ლანდშაფტზე ზემოქმედების და შერბილების ზომებს, და აღნიშნულ ინფორმაციას განათავსებს პროექტის ვებგვერდზე.  შეფასებაში გათვალისწინებული იქნება ნარჩენების განთავსების სივრცე და შერჩეული ადგილების ფოტომონიტაჟი. <b>დასრულების თარიღი: 2023 წლის დეკემბერი</b>	<b>დასრულებული.</b> ვიზუალური ლანდშაფტის შეფასება მომზადდა და გამოქვეყნდა ვებგვერდზე დადგენილ ვადებში. დოკუმენტი ითვალისწინებს ნარჩენების განთავსების სივრცის და შერჩეული ადგილების ფოტომონიტაჟს. დოკუმენტი მომზადდა და გამოქვეყნდა დადგენილ ვადამდე.
		საავტომობილო გზების დეპარტამენტი მშენებლობის ზედამხედველობის კონსულტანტის დანმარებით დაამტკიცებს	<b>დასრულებული.</b> EIA მენეჯერის (შიდა გარემოს კონსულტანტი) ხელმძღვანელობით გაიგზავნა მისია 2023 წლის აგვისტოში. ვიზიტის

	<p>გამწვანების განახლებულ გეგმებს, რომლებიც დაინერგება ლოტი 1 და 2 კონტრაქტორების მიერ.</p> <p>აღნიშნული გეგმები შეეხება პროექტის ვიზუალურ ლანდშაფტზე ზემოქმედებას როგორც ეს SPS პარაგრაფი 56 არის განსაზღვრული, და ასევე გაითვალისწინებს ხადას ხეობის განვითარების გეგმით დადგენილ რეკომენდაციებს.</p> <p><b>დასრულების თარიღი: 2023 წლის დეკემბერი</b></p>	<p>მიზანი იყო მიდგომის და მეთოდოლოგიის საავტომობილო გზების დეპარტამენტთან განხილვა. გამწვანების გეგმები ორი კონტრაქტორის მიერ განახლდა ვიზუალური ლანდშაფტის შეფასების შესაბამისად, და დამტკიცდა ზედამხედველობის კონსულტანტის მიერ. ნარჩენების განთავსების სივრცეების საბოლოოდ დახურვის შემდეგ მოხდება გამწვანების გეგმების განახლება და დანერგვა.</p>
--	--	---

41. **მიგნებები.** ADB-ის პროექტის გუნდის მიერ პერიოდულად წარმოდგენილ ანგარიშებზე და პროექტის გუნდის მეორე ანგარიშზე დაყრდნობით, CRP აღნიშნავს, რომ ვიზუალური ლანდშაფტის შეფასება დასრულდა, და ანგარიში გამოქვეყნდა პროექტის ვებგვერდზე.<sup>4</sup> მისიის დროს, CRP-ს ADB-ის პროექტის გუნდმა და საავტომობილო გზების დეპარტამენტმა აცნობა, რომ შეფასების მიგნებები ინტეგრირებული იქნა პროექტის დანერგვაში. CRP კმაყოფილი დარჩა იმ ფაქტით, რომ გამწვანების პროცესში გამოყენებული იქნება ადგილობრივი სახეობები და, რომ აღნიშნული მცენარეების სანერგე უკვე მოწყობილია. აღნიშნული მიდგომა შესაბამისობაშია ტერიტორიის ბიომრავალფეროვნების უზრუნველყოფის მოთხოვნასთან.

42. **დასკვნა.** ADB სრულ შესაბამისობაშია მაკორექტირებელი მოქმედებების კუთხით.

**6. შემარბილებელი სამოქმედო გეგმა 6- დაბინძურება, ნარჩენები და თემის უსაფრთხოება**

No.	ADB შესაბამისობის მიგნებები	მოქმედების აღწერა	დანერგვის პროგრესი
6	სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედება, დაბინძურება, ნარჩენები და თემის უსაფრთხოება	<p>სავტომობილო გზების დეპარტამენტი მოამზადებს ანგარიშს იმ ზომების შესახებ, რომლებიც უკავშირდება ნარჩენების, დაბინძურების და თემის უსაფრთხოების რისკების შერბილებას. აღნიშნული რისკები მოსალოდნელია პროექტის ოპერირების ეტაპზე და მოთხოვნა გათვალისწინებულია ADB-ის 56 პარაგრაფით.</p> <p><b>დასრულების თარიღი: 2023 წლის დეკემბერი</b></p>	<p><b>დასრულებული.</b></p> <p>დაბინძურებასთან, ნარჩენებთან და უსაფრთხოების რისკებთან დაკავშირებული რისკების შერბილების ზომების ანგარიში მომზადდა ვადების დაცვით.</p>

<sup>4</sup> საქართველოს მთავრობა. 2023. [ვიზუალური ლანდშაფტის შეფასება](#) საქართველო: ჩრდილოეთ-სამხრეთ ღერეფანი (ქვეშეთი-კობი) გზის პროექტი.

43. **მიგნებები.** ADB-ის პროექტის გუნდის მიერ პერიოდულად წარმოდგენილ ანგარიშებზე და პროექტის გუნდის მეორე ანგარიშზე დაყრდნობით, CRP აღნიშნავს, რომ ნარჩენების, დაბინძურების, თემის უსაფრთხოების რისკებთან დაკავშირებული შემარბილებელი ზომების ანგარიში მომზადდა შესაბამის ადგილობრივ მთავრობასთან კონსულტაციით. აღნიშნული ანგარიში უკვე გამოქვეყნებულია პროექტის ვებგვერდზე.<sup>5</sup> მონიტორინგის მისიის დროს, CRP-ას ეცნობა, რომ აღნიშნული ზომების დანერგვის ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება ადგილობრივი მთავრობის სამსახურებს.

44. **დასკვნა.** ADB სრულ შესაბამისობაშია მაკორექტირებელი მოქმედებების კუთხით.

**7. შემარბილებელი სამოქმედო გეგმა 7- ნახევარ წლიანი გარემოს ანგარიშების ინფორმაციის ხელმისაწვდომობა**

No.	ADB შესაბამისობის მიგნებები	მოქმედების აღწერა	დანერგვის პროგრესი
7	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ნახევარ წლიანი გარემოს დაცვის ანგარიშები	საავტომობილო გზების დეპარტამენტი კონტრაქტორების შესაბამის ფაქტებს დააფიქსირებს ნახევარ წლიან გარემოს დაცვის მონიტორინგის ანგარიშში, რათა აისახოს გარემოს და სოციალური კუთხით ვალდებულებების შესრულება. <b>დასრულების თარიღი: 2024 წლის იანვარი</b>	<b>დასრულებული.</b> როგორც 2023 წლის იანვარი-ივნისის, ასევე 2023 წლის ივლისი-დეკემბრის გარემოს დაცვის უსაფრთხოები მონიტორინგის ანგარიშში ასახულია კონტრაქტორების მიერ გარემოს და სოციალური პასუხისმგებლობების შესრულება.

45. **მიგნებები.** პროგრესის მეორე ანგარიშში, ADB-ის პროექტის გუნდმა დაადასტურა, რომ კონტრაქტორების შესაბამისობის ანგარიშები შეტანილი იქნა ნახევარ წლიანი უსაფრთხოების მონიტორინგის ანგარიშებში. CRP-ს ეცნობა, რომ ინტეგრაცია სრულად იყო შესრულებული. სტანდარტული პრაქტიკის შესაბამისად, აღნიშნული ანგარიშები დამატებით გამოქვეყნდა ADB-ის პროექტის ვებგვერდზე.<sup>6</sup> შესწავლის პროცესში CRP-მა გამოავლინა, რომ კონტრაქტორების მიერ გარემოს დაცვის და სოციალური ვალდებულებების შესრულება ნახევარ წლიანი გარემოს დაცვის მონიტორინგის ანგარიშებში არის ადეკვატური.

46. **დასკვნა.** ADB სრულ შესაბამისობაშია მაკორექტირებელი მოქმედებების კუთხით.

**8. შემარბილებელი სამოქმედო გეგმა 8- ადგილის და თემის შესაბამის მართვის გეგმების ინფორმაციის ხელმისაწვდომობა**

<sup>5</sup> საქართველოს მთავრობა. 2023. [ნარჩენების, დაბინძურების და თემის უსაფრთხოების რისკებთან დაკავშირებული შემარბილებელი ზომების ანგარიში საპროექტო გზის ოპერაციის ფაზაში, ჩრდილოეთ-სამხრეთ ღერეფის \(ქვეშეთი-კობი\) გზის პროექტისთვის.](#)

<sup>6</sup> საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. 2024. [გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგის ანგარიში, ნახევარ წლიანი ანგარიში: \(ივლისი-დეკემბერი 2023\), საქართველო: ჩრდილოეთ-სამხრეთ ღერეფის \(ქვეშეთი-კობი\) გზის პროექტი.](#)

47. CRP-მა დაასკვნა, რომ ADB პირველი მონიტორინგის მისიის ფარგლებში სრულად შესაბამისობაში იყო ამ მოქმედების კუთხით. ყველა ადგილის და თემის შესაბამისი გარემოს მართვის გეგმის სია განახლდა და განთავსდა პროექტის ვებგვერდზე ვადების დაცვით (2023 წლის ივნისი).

**9. შემარბილებელი სამოქმედო გეგმა 9- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ანგარიშებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა**

48. პირველი მონიტორინგის მისიის ფარგლებში, CRP-მა დაადგინა, რომ ADB სრულ შესაბამისობაში იყო ამ მოქმედების კუთხით. NAHCP-ის მეორე, შუალედური ანგარიში და კულტურული მემკვიდრეობის გენერალური სამოქმედო გეგმა, მათ შორის შესაბამისი დანართები და დოკუმენტები გაერთიანდა ერთ ანგარიშში და გამოქვეყნდა პროექტის ვებგვერდზე.

**V. დასკვნა**

49. CRP-ის მიერ ჩატარებული RAP და MAP მეორე წლიური მონიტორინგზე დაყრდნობით, CRP აღნიშნავს, რომ ADB-ის პროექტის გუნდი სრულ და დამაკმაყოფილებელ ყურადღებას უთმობს თითოეულ მოქმედებას, რომელიც გათვალისწინებულია RAP და MAP-ით. ყველა მოქმედება დასრულდა შესაბამის ვადებში. დამატებით, ის მოქმედებები, სადაც საჭირო იყო მონიტორინგის და ზედამხედველობის სისტემების გაუმჯობესება უკვე გამოსწორებულია.

50. მეორე მონიტორინგის მისიის შესაბამისად, CRP დაადგინა, რომ ADB-ის პროექტის გუნდის მონიტორინგის და ზედამხედველობის სისტემები ადეკვატური და დამაკმაყოფილებელია შესაბამისობის განხილვის ანგარიშში დაფიქსირებულ შემთხვევებზე ან განმეორებით პრობლემებზე რეაგირებისთვის. ჩატარებული სამუშაო დადებითად შეფასდა მომჩივნების წარმომადგენლები, საავტომობილო დეპარტამენტის და ADB-ის პროექტის გუნდის მხრიდან, და აღინიშნა, რომ CRP მიგნებებმა განაპირობა სხვადასხვა ასპექტებში სასარგებლო და გაძლიერების ეფექტის მქონე მოქმედებების დანერგვა.

51. ზემოთხსენებულის გათვალისწინებით, CRP-მა დაადგინა, რომ მონიტორინგის ფაზა და შესაბამისობის შესწავლის პროცესი მთლიანობაში შეესაბამებოდა AMP-ის პარაგრაფი 193 მოთხოვნებს. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი ადასტურებს დასრულებული მოქმედებების შესაბამისობას.

მოქმედება	შესაბამისობის სტატუსი
<b>A. მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმა</b>	
<b>ფიზიკური კულტურული რესურსები</b>	
<b>ფიზიკური კულტურული რესურსები</b>	
1(a) ფიზიკური კულტურული რესურსების (PCR) საბაზისო შეფასება დასრულების თარიღი: 2023 წლის ივნისი	<b>სრული შესაბამისობა.</b> კონსოლიდირებული PCR ანგარიში გამოქვეყნდა პროექტის ვებგვერდზე (სათაური „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული“)

	სააგენტოს (NACHP) ანგარიშები- კულტურული მემკვიდრეობის გენერალური სამოქმედო გეგმა“) 2023 წლის 16 ივნისს.
1(b) კულტურულ ლანდშაფტზე შემოქმედების შეფასება და შერბილება დასრულების თარიღი: 2023 წლის დეკემბერი	<b>სრული შესაბამისობა.</b> დადგენილ ვადებში დამტკიცდა ისტორიულ-კულტურული გეგმის (HCRP) საბოლოო ვერსია დამტკიცდა NACHP-ის მიერ. გეგმა გამოქვეყნდა პროექტის ვებგვერდზე (სათაური „კულტურული მემკვიდრეობის გეგმა- საბოლოო დოკუმენტი“).  ხადას ხეობის განვითარების გეგმის (KVDP) საბოლოო პროექტი მომზადდა და წარედგინა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (MOESD) დამტკიცებისთვის. პროცესის დასრულება მოსალოდნელია 2024 წლის 15 აგვისტოსთვის.
<b>სოციალურ-ეკონომიკური შემოქმედება</b>	
2. კონტრაქტორების ხელოსნების მიერ მიწით დროებითი სარგებლობა დასრულების თარიღი: 2023 წლის სექტემბერი	<b>სრული შესაბამისობა.</b> მიწით დროებითი სარგებლობის შესახებ სახელმძღვანელოები მომზადდა და მშენებლობის შედამხედველობის კონსულტანტებს ჩაუტარდათ სწავლება 2023 წლის ოქტომბერში. ხელმისაწვდომია ზომები გეგმის დანერგვის და ეფექტურობის მონიტორინგისთვის.  გახანგრძლივდა ზოგიერთი სამოქალაქო სამუშაოების ხელშეკრულება და პირველი ხელშეკრულების დასრულება მოსალოდნელია 2024 წლის აგვისტოში. სახელმძღვანელოების ეფექტურობა შეიძლება შეფასდეს მხოლოდ მოქმედი იჯარის ხელშეკრულებების დასრულების შემდეგ, რეგულარული მონიტორინგის და შედამხედველობის შედეგებზე დაყრდნობით.
<b>იძულებითი განსახლება</b>	
3. შემოსავლის და საცხოვრებელი პირობების აღდგენა დასრულების თარიღი: 2023 წლის ივნისი და 2023 წლის დეკემბერი	<b>სრული შესაბამისობა.</b> შემოსავლის და საცხოვრებელი პირობების აღდგენის გეგმა გამოქვეყნდა პროექტის ვებგვერდზე (სათაური „ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის (ქვეშეთი-კობი) გზის პროექტის საცხოვრებელი პირობების აღდგენის გეგმა“). გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) დახმარებით ჩატარდა საჭიროებების შეფასება, სწავლება და პროცესის დანერგვა გაგრძელდა დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში. ზოგიერთი დადებითი შედეგი დაფიქსირდა დოკუმენტებში. შესაბამისად, ADB-ის პროექტის გუნდმა შეიძლება გაითვალისწინოს პროცესის კიდევ ერთი წლით გახანგრძლივება.
4. ADB-ის მონიტორინგი და შედამხედველობა დასრულების თარიღი: 2023 წლის ივნისი და 2024 წლის იანვარი	<b>სრული შესაბამისობა.</b> მონიტორინგი და შედამხედველობა მნიშვნელოვნად გაძლიერდა. ყოველკვირეული

	<p>მონიტორინგის ანგარიშები ითვალისწინებდა რეაგირების მექანიზმებს პრობლემების გადაჭრისთვის და დროული შესაბამისობის უზრუნველყოფას. გრძელვადიანი და მაღალი რისკის შემცველი საკითხები გათვალისწინებული იქნა 2023 წლის ივლისი-დეკემბრის სოციალური მონიტორინგის ანგარიშში, და რეაგირება გაგრძელდება ADB-ის პროექტის გუნდის მიერ. საჩივრების შემაჯამებელი ანგარიშები აქტიურად მზადდება და რეაგირებაც ადეკვატურია.</p> <p>ყოველკვირეული გარემოს დაცვის და სოციალური (E&amp;S) ანგარიშები, როგორც გაძლიერების მექანიზმები ჩამოყალიბდა საუკეთესო პრაქტიკის სახით.</p>
<b>მოქმედება</b>	<b>შესაბამისობის სტატუსი</b>
<b>B. შემარბილებელი სამოქმედო გეგმა</b>	
<b>გარემოზე ზემოქმედება</b>	
1. პროექტით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება და შერბილება დასრულების თარიღი: 2023 წლის ივნისი და 2023 წლის დეკემბერი	<p><b>სრული შესაბამისობა.</b> გამოწვეულ ზემოქმედებაზე რეაგირების მიზნით მომზადდა და გამოქვეყნდა საწყისი გარემო შემოწმება გუდაური მისასვლელი გზისთვის.</p> <p><b>სრული შესაბამისობა.</b> სტრატეგიული გარემოს შეფასებაზე დაყრდნობით, მომზადდა KVDP პროექტი, რომელიც გამოქვეყნდა და დამტკიცების მიზნით გაიმართა კონსულტაციები თემის და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებთან, რის შემდეგაც დამტკიცებისთვის გადაეგზავნა MOESD. KVDP პროექტის დასრულება მოსალოდნელია 2024 წლის 15 აგვისტოსთვის.</p>
<b>ფიზიკური კულტურული რესურსები</b>	
2. PCR-ზე ზემოქმედების შეფასება და შერბილება დასრულების თარიღი: 2023 წლის სექტემბერი	<p><b>სრული შესაბამისობა.</b> კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმები განახლდა, დამტკიცდა და დაინერგა.</p>
3. PCR ტერიტორიებზე ზედამხედველობა დასრულების თარიღი: 2023 წლის სექტემბერი	<p><b>სრული შესაბამისობა.</b> PCR მონიტორინგის და მიკვლევადობის სისტემა დაინერგა ყველა მოთხოვნის გათვალისწინებით და მოიცავს ინოვაციურ ონლაინ რუკებს. PCR მონიტორინგის და მიკვლევადობის სისტემა, რომელიც დანერგვის პროცესშია ჩამოყალიბდა საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით.</p>
<b>სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედება</b>	
4. თემისთვის მიწის ხელმისაწვდომობა დასრულების თარიღი: 2023 წლის სექტემბერი	<p><b>სრული შესაბამისობა.</b> განისაზღვრა და მოეწყო ორი შემოვლითი გზა თემისთვის დიდველის პლატოზე არსებული მიწის ხელმისაწვდომობის მიზნით.</p>
5. ვიზუალურ ლანდშაფტზე ზემოქმედების შეფასება და შერბილების ზომები დასრულების თარიღი: 2023 წლის დეკემბერი	<p><b>სრული შესაბამისობა.</b> ვიზუალური ლანდშაფტის შეფასება მომზადდა და გამოქვეყნდა დადგენილ ვადებში.</p>

	შეფასების მიგნებების გათვალისწინებით, განახლდა გამწვანების გეგმები ნარჩენების შეგროვების ადგილებისთვის. მოხდა აღნიშნული გეგმის შესწავლა და დამტკიცება. დანერგვა დაგეგმილია პროექტის დასრულებისთვის.
6. დაბინძურება, ნარჩენები და თემის უსაფრთხოება დასრულების თარიღი: 2023 წლის დეკემბერი	<b>სრული შესაბამისობა.</b> ანგარიში ნარჩენებთან, დაბინძურებასთან და თემის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შერბილებაზე განხილული იქნება თემის წარმომადგენლებთან და ადგილობრივ მთავრობასთან კონსულტაციით. ყველა პროცესი დასრულდა ვადების დაცვით.
<b>ინფორმაციის ხელმისაწვდომობა</b>	
7. ნახევარ წლიანი გარემოს დაცვის ანგარიშები დასრულების თარიღი: 2024 წლის იანვარი	<b>სრული შესაბამისობა.</b> გარემოს და სოციალური მონიტორინგის არსებითი გაძლიერება თვალსაჩინოა როგორც იანვარი-ივნისის, 2023, ასევე ივლისი-დეკემბერი 2023 ანგარიშებში. დაგეგმილია ანალოგიური პრინციპით მუშაობის გაგრძელება.
8. კონკრეტულ ტერიტორიასთან და საკითხთან დაკავშირებული მართვის გეგმები დასრულების თარიღი: 2023 წლის ივნისი	<b>სრული შესაბამისობა.</b> ყველა კონკრეტულ ტერიტორიასთან და საკითხთან დაკავშირებული მართვის გეგმა განახლებული და გამოქვეყნებულია პროექტის ვებგვერდზე.
9. NACHP ანგარიშები დასრულების თარიღი: 2023 წლის ივნისი	<b>სრული შესაბამისობა.</b> NACHP ანგარიშები გამოქვეყნებულია პროექტის ვებგვერდზე.

## VI. დაკვირვება

52. CRP აღნიშნავს შემდეგ საკითხებს ADB-ის პროექტის გუნდის მიერ გათვალისწინებისთვის:

- (i) **ჰაერის დაბინძურება:** სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებამ- თემის წარმომადგენლები, კონტრაქტორები, ზედამხედველობის კონსულტანტები, საავტომობილო გზების დეპარტამენტი, და ADB-ის პროექტის გუნდი- აჩვენა, რომ ჰაერის დაბინძურება კვლავაც გამოწვევად რჩება მშრალი, ზაფხულის სეზონის პირობებში და კვლავაც აწუხებს მოსახლეობას. CRP ჰაერის დაბინძურების პრობლემასთან დაკავშირებით აქვს შემდეგი შემოთავაზებები: (ა) კონკრეტულ პრობლემაზე მორგებული მტვრის მართვის გეგმის შემუშავება სხვადასხვა მიმართულებით, განსაკუთრებით ისეთი ადგილებისთვის სადაც მიმდინარეობს სამუშაოები. მოქმედებები უნდა ეფუძნებოდეს წყლის რესურსების ხელმისაწვდომობას და სხვა შემარბილებელ ზომებს, ასევე აუცილებელია ნებართვების გაცემა ზედამხედველობის კონსულტანტის მიერ მას შემდეგ, რომ დადასტურდება შემარბილებელი ზომების ხელმისაწვდომობა; (ბ) თემთან კონსულტაციების ჩატარება რათა განისაზღვროს უმთავრესი საჭიროებები და პრიორიტეტები, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი შემარბილებელი ზომების შერჩევას სხვადასხვა ადგილებისთვის; და (გ)



რეგულარული კომუნიკაცია თემთან- ყოველდღიური ან ყოველკვირეული- რაც ხელს შეუწყობს ჰაერის დაბინძურების გარდაუვალი დონის მიმართ მიმდებლობის გაზრდას მას შემდეგაც კი, როდესაც დაინერგება ყველა შესაძლო ზომა.

- (ii) ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი: თითოეული კონტრაქტორის გუნდთან გასაუბრებამ გამოავლინა საპროექტო გზების სიახლოვეს ველური ბუნების წარმომადგენლების გადაადგილება. ველური ბუნების მონიტორინგი ხორციელდება სრული ძალისხმევით, კონტრაქტორების მიერ დაქირავებული ბიომრავალფეროვნების ექსპერტების ჩართულობით, და მოსალოდნელია ამ ძალისხმევის გაგრძელება პროექტის ოპერაციული ფაზის დროსაც. იმის გათვალისწინებით, რომ ველური ბუნების წარმომადგენლების გადაადგილების შესახებ ინფორმაცია სასარგებლო იქნება პროექტის ოპერაციული ფაზის დროსაც აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ადგილობრივი უწყებების და თემისთვის, რათა თავიდან ავირიდოთ ცხოველებზე ზემოქმედება.
- (iii) FAO ჩართულობა საცხოვრებელი პირობების აღდგენაში: სასარგებლო იქნება FAO გუნდების ხელშეწყობა მუშაობის გახანგრძლივება იმის გათვალისწინებით, რომ FAO გუნდის წევრებს აქვს საექსპერტო და ხანგრძლივი გამოცდილება საქართველოში საცხოვრებელი პირობების ხელშეწყობის კუთხით. ასევე, გასათვალისწინებელია ის დადებითი შედეგები, რომლებიც მიღებული იქნა FAO სასწავლო პროგრამით. სამომავლო სამუშაოს ფარგლებში, FAO გუნდმა უნდა გაითვალისწინოს რეგიონალური კულტურისთვის დამახასიათებელი ადგილობრივი ფერმერული პრაქტიკების შენარჩუნება, ასევე FAO სერტიფიცირების გამოყენება ადგილობრივ პროდუქტზე ფასების გაუმჯობესების მიზნით. აქვე მნიშვნელოვანია, რომ ინიციატივები განხორციელდეს KVDP შესაბამისად.

## **ელისა გოზუნი**

თავმჯდომარე, შესაბამისობის შემსწავლელი კომისია

## **ვაიდესვარან სანკარანი**

წევრი, შესაბამისობის შემსწავლელი კომისია

## **ინბალ ჯალოვსკი**

წევრი, შესაბამისობის შემსწავლელი კომისია

მანილა, ფილიპინები

2024 წლის 7 აგვისტო

## დანართები

### დანართი 1- შესაბამისობის შესწავლის მოთხოვნა

შესაბამისობის შესწავლის ოფიცერი

ADB შესაბამისობის შემსწავლელი კომისია

მანილა, ფილიპინები

ელ-ფოსტა: [amcro@adb.org](mailto:amcro@adb.org)

ძვირფასო ოფიცერო,

მოგმართავთ თხოვნით დაიწყოთ შესაბამისობის შესწავლის პროცესი, რათა უზრუნველყოთ, რომ 23 კილომეტრიანი ქვეშეთი-კობის გზის პროექტი, ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის ახალი მონაკვეთი შესაბამისობაში იყოს ADB-ის გარემოს და სოციალურ სტანდარტებთან, და რათა შემცირდეს პროექტის ზემოქმედება, რომელიც ჯერ კიდევ მშენებლობის ადრეულ ეტაპზეა.

პროექტი სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის უნიკალურ ხეობას, რომელიც 60 კომპის ხეობად არის ცნობილი თუ არ დაინერგება შესაბამისი უსაფრთხოების და შემარბილებელი ზომები კულტურული მემკვიდრეობის და ლანდშაფტის, მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების დასაცავად, რაც არ მოუტანს ადგილობრივ თემებს რაიმე ხელშესახებ სარგებელს.

### ხადას ხეობის განადგურება და არასრული ალტერნატივები

ადგილობრივი თემები აქტიურად მოითხოვენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ იმ გზების მოძიებას, რომლებიც თავიდან აგვარილებს ხადას ხეობის, მისი ლანდშაფტის და კულტურული მემკვიდრეობის განადგურებას, რაც პირდაპირ საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლეს. ჩვენ ვითხოვდით, რომ მაგისტრალმა აუაროს ხეობას და გაიაროს სხვა, ალტერნატიული ხეობის გავლით (სადაც პრაქტიკულად არ არის არც მოსახლეობა და არც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები), ან შემუშავდეს სხვა ალტერნატიული მარშრუტი. აღნიშნული მოთხოვნა ცალსახად დაფიქსირდა 2019 წლის გაზაფხულის საჯარო მოსმენების დროს. თუმცა, პროექტის მხრიდან არასდროს ისმის გზის მარშრუტის საბოლოო არჩევის მკაფიო არგუმენტები, მათ შორის ალტერნატივების შესახებ. მიუხედავად მტკიცებისა, რომ ალტერნატივების შერჩევის კრიტერიუმები ეფუძნებოდა გეოლოგიურ-საინჟინრო შეფასებას, არც ESIA, არც სხვა, უფრო მოგვიანებით გამოქვეყნებულ დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი ალტერნატივების სიდრმისეული ანალიზი და ამ ალტერნატივებზე უარის მიზეზები, მათ შორის განხორციელებადი ალტერნატივა (ერთი გვირაბი ქვეშეთიდან ხობის მიმართულებით, სავარაუდო სიგრძით 15.5 კმ, ნაცვლად 9 კილომეტრიანი გვირაბისა, რომელიც შემოთავაზებულია პროექტით), ასევე არ გათვალისწინებულა „პროექტის საპირისპირო“ ალტერნატივები და მათზე უარი ითქვა დაუყოვნებლივ. ამასობაში, საკონსულტაციო პერიოდში, ადგილობრივი თემის წარმომადგენლების და ექსპერტებისგან ჩვენ მოვისმინეთ ბევრი საყვედური გეოლოგიური და სეისმური უსაფრთხოების შესახებ.

შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია ყველა ალტერნატივის საფუძვლიანად შესწავლა და საზოგადოებისთვის გაცნობა. გარდა ამისა, პროექტის დოკუმენტაციაში არ არის მოცემული ყველა აუცილებელი დეტალი, მათ შორის დეტალური მარშრუტი. ამიტომ პროექტის დანერგვა უნდა შეჩერდეს ვიდრე ყველა შემარბილებელი და უსაფრთხოების ზომა არ იქნება ხელმისაწვდომი.

### **საცხოვრებელ პირობებზე ზემოქმედება და ადგილობრივი სარგებელი**

პროექტის თანახმად, ის ხელს შეუწყობს რეგიონის აყვავებას, და დოკუმენტაციის თანახმად, პროექტის ერთერთი მთავარი ბენეფიციარი ადგილობრივი მოსახლეობაა. მოსალოდნელია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავალი გაიზრდება, რადგან პროექტი ხელს შეუწყობს ადგილობრივი გზის და ახლად დაარსებული ხადას ხეობის ვიზიტორების ცენტრის წლის ნებისმიერ მონაკვეთში გამოყენებას. თუმცა, მთლიანობაში, 558 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროექტიდან ადგილობრივების სარგებელი უმნიშვნელოა. პროექტში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული შიდა, წლის ნებისმიერ მონაკვეთში ხელმისაწვდომი გზის მოწყობა, რომელიც ფუნქციური და მარტივი მისაწვდომი იქნება სოფლის მოსახლეობისთვის. ამ დროს კი ახალმა გზატკეცილმა შესაძლოა ადგილობრივებს შეუზღუდოს საკუთარ მიწებზე წვდომა.

პროექტის და მომდევნო კომუნიკაციის თანახმად, „EIA გათვალისწინებულია პროექტთან დაკავშირებული ყველა ზემოქმედება, რომელიც უკავშირდება მშენებლობას და ოპერირებას (ხმაური, ვიბრაცია, ჰაერის ხარისხი, ბიომრავალფეროვნება...), და მათი შესაბამისი ფუნქციური საზღვრები. როგორც EIA არის განსაზღვრული, ჰაერის ხარისხის და ხმაურის მოდელირებით დადგინდა, რომ საავტომობილო მოძრაობა გზაზე არ გამოიწვევს მნიშვნელოვან ხმაურს და ჰაერის დაბინძურებას, რომელიც აღემატება ეროვნულ ან საერთაშორისო სტანდარტებს.“ თუმცა, ხმაურის და ჰაერის დაბინძურებაზე შესაბამისი საბაზისო კვლევების არ არსებობის პირობებში, და იმის გათვალისწინებით, რომ ESIA წარმოდგენილი არ არის ექსპლუატაციის ფაზასთან დაკავშირებული ზემოქმედება, წარმოდგენილი არგუმენტები არ არის დამაჯერებელი. მაგალითად, მიუხედავად მტკიცებისა, რომ გამოყენებული იქნება ჰაერის ხარისხის IFC სტანდარტები, საბაზისო კვლევაში ჰაერის დაბინძურების მონიტორინგი ჩატარდა საქართველოში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად, და მხოლოდ რამდენიმე ადგილას. ხეობაში არ გაზომილა ვიბრაციის დონე. ვიბრაციის რისკების იდენტიფიცირების და რისკების შერბილების ნაცვლად, EIA ნათქვამია: „ამ ეტაპზე, რთულია ზუსტად გამოითვალოს ვიბრაციის მიერ დაშვებული ზღვარის გადაცილების მასშტაბი.“ ჰაერის ხარისხის მართვის და ხმაურით დაბინძურების პრევენციის სამოქმედო გეგმები ვალდებულების სახით გადაეცა პროექტის კონტრაქტორს. აქ ჩნდება კითხვები, განსაკუთრებით ხმაურით დაბინძურებასთან დაკავშირებული შესაბამისი კანონმდებლობის არ არსებობის პირობებში. შესაბამისად, მშენებლობის და მომდევნო ექსპლუატაციის ფაზებში, ზოგიერთი თემისთვის ხმაურის და ჰაერის დაბინძურების დონე შესაძლოა აღემატებოდეს WHO-ის მიერ დადგენილ სტანდარტებს. აღნიშნული ცალსახად გააუარესებს ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელ პირობებს.

ESIA-ში საუბარია მხოლოდ საჭიროებებზე და ხადას ხეობის ზოგიერთ სოფელზე, რომელიც უშუალოდ პროექტის ზემოქმედების ქვეშ ექცევა (წყარე, კობი, ქვეშეთი, არახეთი, ზაქართკარი, ბენიანი, ბეგონი, სვიანა, როსტიანი და მუღურე); დოკუმენტში საუბარი არ არის რიგ

პრობლემებზე (დაბინძურება, ხმაური, მოძრაობის გააქტიურება, და სხვა), რასაც წააწყდება ადგილობრივი მოსახლეობა, მათ შორის იმ სოფლების მოსახლეობა, რომელიც აქ არ არის ჩამოთვლილი (იხილეთ ქვემოთ). შესაბამისად, ანგარიშში შეფასებული არ არის პროექტის სოციალურ-ეკონომიკური და გენდერული ზემოქმედება პროექტის მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე, მათ შორის ზემოქმედება სამუშაო ძალაზე. კვლევაში ასევე ნაკლებად არის დაფარული პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებზე მიწის შესყიდვით გამოწვეული პირდაპირი ზემოქმედება.

უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის დოკუმენტებში, „ზემოქმედების ქვეშ“ მოქცეულ სოფლებში გათვალისწინებული არ არის ხადას ხეობის რამდენიმე სოფელი, თუმცა არსებობს გეგმები აღნიშნული სოფლების დამატებითი ინფრასტრუქტურული განვითარებისთვის. ADB და EBRD მიღებული პასუხები ადასტურებს, რომ პროექტის დოკუმენტაცია არ მოიცავს აღნიშნული აქტივობების გარემოზე და სოციალურ ზემოქმედებას ან რისკის შემცირების გეგმებს გუდაურის გზისთვის. „ზაქართკარიდან გუდაურში მიმავალი არსებული ბილიკი დროებით გაუმჯობესდება სამშენებლო ეტაპზე, რათა ხელმისაწვდომი გახდეს ნარჩენების შეგროვების სივრცეები. აღნიშნული გაუმჯობესება დამატებით გამოყენებული იქნება სხვა სამშენებლო მიზნებისთვის EMP ყველა შესაბამისი მოთხოვნის გათვალისწინებით. დროებითი გზების მოწყობისთვის კონტრაქტორის მიერ მომზადდება სპეციალური მეთოდოლოგია, რომელიც შემდგომ განიხილება სამშენებლო ზედამხედველობის კონსულტანტის და საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ სამუშაოების დაწყებამდე. როგორც EIA (ნაწილის B.5.4) არის მითითებული, და როგორც ეს ადრეული კონსულტაციების დროს ითქვა, არსებული გზა გუდაურის მიმართულებით გათვალისწინებულია მომავალი გზის მარშრუტში. მანამდე, პოტენციური სოციალური და გარემო ზემოქმედება, რომელიც უკავშირდება ამ გზას დამატებით იქნება შესწავლილი. ასევე გაიმართება კონსულტაციები შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან. ანალოგიური მიდგომა იქნება გამოყენებული შემოთავაზებული ვიზიტორების ცენტრის შემთხვევაში. შესაბამისად, EIA და LARP განახლდება საკუთრების შეფასების გათვალისწინებით, რომელიც აისახება მიწის ბაზარზე და სხვა აქტივების ჩანაცვლების ფასზე.“ შესაბამისად, ერთი შეხედვით გუდაურის გზა განიხილება როგორც მუდმივი გზა, მაგრამ ის არ წარმოადგენს პროექტის ნაწილს და ყველა აქტივობა შეჩერებულია მომავლის უცნობ მომენტამდე.

ESIA თანხმად, ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავალი გაიზრდება ტურისტული შესაძლებლობების და ადგილობრივი დასაქმების განვითარებით. თუმცა, კომპანიისთვის საჭირო ადგილობრივი მუშახელის ზუსტი რაოდენობა განსაზღვრული არ არის.

დამატებით, ადგილობრივი ტურისტული კომპანიები მიიჩნევენ, რომ ახალი გზა შეამცირებს ტურისტულ შესაძლებლობებს ხეობაში, რაც გამოწვეული იქნება გაზრდილი ხმაურით, დაბინძურებით და მშენებლობის და ექსპლუატაციის სხვა რისკებით. ტურისტული კომპანიები არასდროს ყოფილან პროექტის განხილვის ნაწილი, რაც მკაფიო ხდება მათი განცხადებებიდან.

გარდა ამისა, ხადას ხეობის გრძელვადიან განვითარებასთან დაკავშირებით კითხვის დასმის დროს, მოულოდნელად ირკვევა, რომ პროექტის სპონსორმა, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მხოლოდ ახლა „სთხოვა ABD-ის საპროექტო რაიონში

მდგრადი მიწათსარგებლობის გეგმის შემუშავებაში დახმარება, რომელიც მომზადდება დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაციით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ბუნების და კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობების დაცვას, და ქალებისთვის სოციალური მომსახურებების და ეკონომიკური შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას. ამ გეგმის მიგნებების ასევე განსაზღვრავს ტურიზმის განვითარების და პოტენციური ვიზიტორების ცენტრის მოწყობის კონცეფციას, რის მთავარი მიზანიც იქნება ადგილობრივი თემის წარმომადგენლებისთვის სარგებელის მაქსიმუმამდე გაზრდა, და მდგრადი ტურიზმის ხელშეწყობა<sup>7</sup>. მაშინ, როგორც შეიძლება პროექტი ამტკიცებდეს, რომ გაიზრდება ტურიზმიდან მიღებული სარგებელი, როდესაც კონცეფციაც კი არ არის ჯერ შემუშავებული? რა პასუხი ექნება პროექტს, თუ ახლად შემუშავებული მდგრადი მიწათსარგებლობის გეგმა გზის პროექტის ცვლილების შეტანას მოითხოვს?

ყველა ზემოთაღნიშნული არის ის საკითხები, რომლებიც ადელვებს ადგილობრივ მოსახლეობას. ამას ემატება ის ფაქტი, რომ პროექტში გათვალისწინებული არ არის ხადას ხეობის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, მათ შორის საბავშვო ბაღის, სკოლის, ამბულატორიული კლინიკის არ არსებობა და სხვა. თითქმის ნახევარი მილიარდი დოლარის ინვესტირება და მოსახლეობის 1%-თვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების გაუთვალისწინებლობა ყოველად მიუღებელი პრაქტიკაა.

მიწის კომპენსაციის პროცესი საჯარო რეესტრში კვლავაც პრობლემას წარმოადგენს. ასევე, არის ნაკლებობა სხვადასხვა ფორმით ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების უფლებების შესახებ (მათ შორის პროექტის საჩივრების მექანიზმის არსებობა, IFI ანგარიშვალდებულების მექანიზმები, და სხვა)- მიწის დაკარგვა, საცხოვრებლის შესაძლო დაზიანება მშენებლობის დროს, ჰაერის და ხმაურით დაბინძურება, გეოლოგიური უსაფრთხოება და სხვა. ყველა ეს პრობლემა ჯერ კიდევ ადელვებთ ადგილობრივებს. მიუხედავად იმისა, რომ EBRD და ADB არწმუნებენ მოსახლეობას, რომ მიწის კომპენსაციის პროცესი მათ მიერ დადგენილი სტანდარტებით მიმდინარეობს, ადგილობრივ მოსახლეობას უწევს საკუთარი უფლებების დაცვისთვის ბრძოლა. ამის ერთერთი ნათელი მაგალითი არის საკუთრების შეფასება. ერთი კვადრატული მეტრის ფასმა 5.60 ლარიდან (1,80 აშშ დოლარი 2019 წელს) 16-22 ლარამდე (5-7 აშშ დოლარი 2020 წელს) გაიზარდა. თუმცა, მიუხედავად ამისა შემოთავაზებული ფასის შეთანხმება არ მოხდა მესაკუთრეებთან.

### **პრობლემები პროექტის დიზაინთან და ზემოქმედება კულტურულ მემკვიდრეობაზე**

ESIA ხარისხის ანალიზი, რომელიც განხორციელდა დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ ადასტურებს პროექტის ბუნებაზე და საცხოვრებელ პირობებზე ზემოქმედების ჩვენს ეჭვს.

EIA მკაფიოდ მიუთითებს სხვადასხვა კრიტიკული გადაწყვეტილებების „გადავადებაზე“- EIA ეტაპიდან მშენებლობის ეტაპზე გადაწევა. შესაბამისად, ეს კრიტიკული გადაწყვეტილებები არ გადის გარემოს დაცვის მიმართულებით გადაწყვეტილების მიმღები სავალდებულო უწყების მიერ დამტკიცებას. აქ იგულისხმება ისეთი საკითხებიც, როგორც არის გზა გუდაურიდან, ნარჩენების განკარგვა, ასფალტის საამქროები, რომლებიც დარჩათ სამშენებლო კომპანიებს.

<sup>7</sup> ამონარიდი EBRD, ADB კონსოლიდირებული პასუხიდან, 25.09.2020.

უამრავ შემთხვევაში, ESIA ზოგიერთ აქტივობას განსაზღვრავს როგორც რეკომენდაციას, და არა სავალდებულო მოქმედებას. 2 მილიონი კუბამეტრი მიწის განკარგვის პრობლემა არ არის ჩვენი უსაფრთხოების ყველაზე დიდი გამოწვევა, და მაინც ვიდრე პროექტზე პასუხისმგებელი იწყებს სამუშაოების ჩატარებას, ჯერ კიდევ არ არის მკაფიო პასუხი, თუ როგორც მოხდება ამ ერთ კონკრეტულ პრობლემასზე რეაგირება. უამრავი შეთავაზება, რომელსაც პერიოდულად ვისმენთ პროექტის კომპანიისგან ნარჩენების განთავსების სივრცის გამოყენებაზე კიდევ უფრო აღვივებს ჩვენს ეჭვებს.

პროექტის ESIA აღწერილია კულტურული მემკვიდრეობა, რომეოც შეიძლება სერიოზული ზემოქმედების ქვეშ მოექცეს. თუმცა, საუბარი არ არის შემარბილებელ ზომებზე. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ანალიზი და ზომები უამრავ კითხვას აჩენს. მაგალითად, ESIA თანახმად მარშრუტის შერჩევის დროს გვერდი აუარეს ყველა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტს, მაგრამ არ არის საუბარი თუ როგორ მოხდა ეს. სხვა სიტყვებით, ანგარიშის თანხმად, ბეგონის კოჭი არ მოექცა ზემოქმედების ქვეშ რადგან ის უკვე დანგრეულია. შესაბამისი შეფასების არ არსებობა, რომელიც დასტურდება მომდევნო პროცესებით, განვითარდა მშენებლობის წინა ფაზაში.<sup>8</sup>

ADB-ის უახლესი განცხადებით, ადგილობრივი თემების, ასევე მწვანე ალტერნატივის მოთხოვნით, მიღებული იქნა ყველა ზომა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისთვის, მათ შორის კვლევა, კულტურული მემკვიდრეობის იდენტიფიკაცია, კონსულტაციები და სხვა. აღნიშნულზე დაყრდნობით, გამოვლინდა ექვსი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი საპროექტო გზიდან 50 მეტრის მოშორებით. აღნიშნული ობიექტების და სხვა მგრძობიარე ტერიტორიებისთვის შემუშავდა შემარბილებელი ზომები. თუმცა, ამავე დროს წერილით ირკვევა, რომ მომზადდება მართვის ორი გეგმა; პირველი გეგმა იქნება კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა (CHMP), რომელიც უნდა მომზადდეს პროექტის სამუშაოების კონტრაქტორის მიერ, და მეორე კულტურული მემკვიდრეობის გენერალური სამოქმედო გეგმა (CHGAP) საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით. ეს ნაბიჯები მისასალმებელია, მაგრამ რადგან საპროექტო სამუშაოები უკვე დაწყებულია, არსებობს საფრთხე, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შემარბილებელი ზომები დაგვიანებული იქნება, და/ან მათი დანერგვა შეუძლებელი გახდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის საჯაროდ გამოცხადება, ტექნიკური დავალების გამოქვეყნება, სამოქმედო გეგმის გარშემო ღია დისკუსიის ჩატარება სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფების ჩართულობით (არასამთავრობო ორგანიზაციები, ექსპერტები და სხვა).

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ მთავარი შემზღვეველი ფაქტორი ალტერნატივებისთვის იყო მთიანი რელიეფი, გეოლოგიური არასტაბილურობა და კლიმატი. თუმცა, პროექტის EIA თანხმად, „კლიმატ მედეგი გზის“ მშენებლობისთვის განმარტებული არ არის ბოლო დროს გავრცელებულ ამინდის ექსტრემალურ პირობებთან გამკლავების ზომები- მეწყერი, წყალდიდობა, ქვათაცვენა და ზვავი, ეს კი თავის ზეგავლენას მოახდენს ახალ გზაზე. ESIA

<sup>8</sup> გაურკვევლობები ეროვნულ დონეზე აღწერილია გამოცემაში.

დოკუმენტში არ არის პასუხი კითხვაზე მოხდება თუ არა პროექტის მშენებლობით და ექსპლუატაციით სხვადასხვა სეისმური პროცესების გააქტიურება.

### **ESIA ხარისხი**

ESIA ანალიზი, რომელიც აყალიბებს გარემოს და სამშენებლო ნებართვებს ეროვნული კანონმდებლობის და ADB-ის ESIA შესაბამისად, მიუთითებს, რომ მისი ხარისხი ძალიან დაბალია. დოკუმენტში გათვალისწინებული არ არის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია პროექტის ზემოქმედების გამორკვევისთვის. აღნიშნული, თავის მხრივ განაპირობებს შემარბილებელი ზომების დაბალ ხარისხს. საბაზისო კვლევების ნაკლებობასთან ერთად ESIA და დაკავშირებული საჯაროდ ხელმისაწვდომი მასალები არ შეიცავს პროექტის შესაბამის დასაბუთებას, მათ შორის ხარჯების-სარგებლის ანალიზს, რომელიც აუცილებელია საქართველოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსით, შემარბილებელი მოქმედებები, და ინფრასტრუქტურის განვითარება (მაგალითად, რუსეთ-სომხეთის მილსადენის მდებარეების განსაზღვრა) არ არის ბიუჯეტით გათვალისწინებული.

კორექსონდენცია ADB პერსონალთან და პროექტთან

გთხოვთ იხილოთ კორექსონდენცია დანართში

GA წერილები და პასუხები ADB-ის

წერილი გენერალურ დირექტორს ბატონ ვერნერ კიპაჩს, ასლი: გენერალური დირექტორის მოადგილეს ბატონ ნიანშან ჟანს, ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტი, აზიის განვითარების ბანკის, 4 სექტემბერი, 2020 წელი

წერილი გენერალურ დირექტორს ბატონ ვერნერ კიპაჩს, ასლი: გენერალური დირექტორის მოადგილეს ბატონ ნიანშან ჟანს, ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტი, აზიის განვითარების ბანკის, 6 სექტემბერი, 2019 წელი

წერილი ADB-ის ადგილობრივ ოფისს, 31 მარტი, 2020 წელი

წერილები მოქალაქეებისგან

- ადგილობრივი მოსახლეების წერილი, 1 აგვისტო, 2019 წელი, გაეგზავნა პროექტის ხელმძღვანელს ბატონ კამელ ბოჰმადს, ასევე ADB-ის ანგარიშვალდებულების მექანიზმს;
- 2019 წლის 18 ნოემბერი, ბატონ ვერნერ კიპაჩს; ბატონ ჯესპერ ლინდ პეტერსენი; ბატონი დონ სო პო; რამდენიმე წერილი და კომუნიკაცია ადგილობრივ თემებს და პროექტს შორის როგორც ხადას ხეობაში, ასევე თბილისში.

დამატებითი ინფორმაცია

ADB AGM 2019 წლის ბრიფინგი, მწვანე ალტერნატივა

ექსპერტების აზრი ქვეშეთი კობის გზაზე, 2019

ანგარიში ქვეშეთი-კობის გზაზე, 2020, მწვანე ალტერნატივა

პეტიცია, ESIA ხარისხის ანალიზი, მ. გვილავა, ქართულ ენაზე

რას ვითხოვთ:

ზემოთხსენებულის გათვალისწინებით, გთხოვთ შეისწავლოთ პროექტის ზემოქმედება გარემოზე და მისი ADB-ის უსაფრთხოების სტანდარტებთან შესაბამისობა, რა ზეგავლენას მოახდენს პროექტი ჩვენს საცხოვრებელ პირობებზე და ხარისხზე, და რა ზომები არსებობს აღნიშნულზე ზემოქმედებისთვის.

გთხოვთ დაიცვათ ადგილობრივი თემის წარმომადგენლების კონფიდენციალობა, რათა თავიდან ავირიდოთ სამთავრობო სტრუქტურების წნეხი. ასევე, გთხოვთ წარმომადგენლობითი უფლება საჩივარზე მისცეთ ასოციაცია მწვანე ალტერნატივის თავმჯდომარეს, მანანა კოჭლაძეს, და მწვანე ალტერნატივის სოციალურ და გარემოს დაცვის პროგრამის ექსპერტს, ქალბატონ მარიამ დევიძეს. (იხილეთ დანართი 1).



**დანართი 2- დასკვნითი ანგარიში შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის  
მოთხოვნაზე N2021/1, ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის (ქვეშეთი-კობი) გზის  
პროექტი საქართველოში**

**(აზიის განვითარების ბანკის, სესხი 3803)**

**ცხრილი 5. შეუსაბამობის და ზიანის მიგნებები, და ასოცირებული მართვის  
მაკორექტირებელი მოქმედებები**

საკითხი	ADB შეუსაბამობის მიგნებები	ზიანის მიგნებები? (დიახ/არა)	მაკორექტირებელი მოქმედებები (აუცილებელი <sup>a</sup> / შემოთავაზებული <sup>b</sup> / მოქმედების გარეშე <sup>c</sup> )
<b>1. გარემოზე ზემოქმედება</b>			
1.1 გარემოზე ზემოქმედების შეფასების საკვლევ ტერიტორია და პროექტის კომპონენტები	CRP გამოავლინა ADB შეუსაბამობა საბჭოს მიერ დამტკიცებული კომპლექსური შემოწმების და განხილვის პასუხისმგებლობების კუთხით, რომლებიც განსაზღვრულია SPS 56 პარაგრაფით, რაც გულისხმობდა საბოლოო EIA-ში პროექტის გუდაურის და ხადას ხეობის დაკავშირებით გამოწვეული ზემოქმედების ჯეროვნად გათვალისწინებას, როგორც ეს გარემოს უსაფრთხოების პოლიტიკის მე-2 პრინციპით არის გათვალისწინებული (იხილეთ პარაგრაფი 71).	არა	მოქმედება შეთავაზებულია
<b>2. ჰაერი, ხმაური და ვიბრაცია</b>			
2.1 ჰაერი	CRP გამოავლინა ADB შეუსაბამობა საბჭოს მიერ დამტკიცებული კომპლექსური შემოწმების და განხილვის პასუხისმგებლობების კუთხით, რომლებიც განსაზღვრულია SPS 56 პარაგრაფით, რაც გულისხმობდა საბოლოო EIA-ში საპროექტო ტერიტორიის ჰაერის ხარისხის საბაზისო მონაცემების გათვალისწინებას როგორც ეს SPS პარაგრაფები 5 და 9, დანართი 1 არის გათვალისწინებული (იხილეთ პარაგრაფი 89).	არა	მოქმედების გარეშე
2.2 ხმაური	CRP გამოავლინა ADB შეუსაბამობა საბჭოს მიერ დამტკიცებული კომპლექსური შემოწმების და განხილვის პასუხისმგებლობების კუთხით, რომლებიც განსაზღვრულია SPS 56 პარაგრაფით, რაც	არა	მოქმედების გარეშე

	გულისხმობდა საბოლოო EIA-ში საპროექტო ტერიტორიის ხმაურის საბაზისო მონაცემების გათვალისწინებას როგორც ეს SPS პარაგრაფები 5 და 9, დანართი 1 არის გათვალისწინებული (იხილეთ პარაგრაფი 103).		
<b>3. ფიზიკური კულტურული რესურსები (PCR)</b>			
3.1 საბჭოს წინა დამტკიცება	ADB-ის საბჭოს წინა დამტკიცება არ აკმაყოფილებდა იმ სტანდარტს, რომელიც აუცილებელია SPS 56 პარაგრაფის შესაბამისად. ADB-მა არ დაადასტურა, რომ საბჭოს მიერ დადასტურებამდე ყველა პოტენციური გარემოზე ზემოქმედება და რისკები იყო იდენტიფიცირებული; ან რომ ზომები PCR-ზე ზემოქმედების თავიდან არიდების, მინიმუმამდე დაყვანის, და შერბილებისთვის ადეკვატურად იყო გათვალისწინებული უსაფრთხოების გეგმებში და პროექტის დიზაინში, როგორც ეს SPS 56 პარაგრაფით არის მოთხოვნილი. კერძოდ, ADB-მა არ უზრუნველყო: (ა) შეფასების პროცესის PCR საბაზისო მონაცემებზე დაყრდნობა, როგორც ეს SPS დანართი 1, პარაგრაფი 5 არის მოთხოვნილი. ასევე, EIA არ მოიცავს საბაზისო მონაცემებს, როგორც ეს SPS დანართი 1, პარაგრაფი 9 არის მოთხოვნილი; და (ბ) EIA-ში მოცემული ლანდშაფტზე ზემოქმედების შეფასება და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების და შერბილების ზომები ასახული არ არის SPS დანართი 1, პარაგრაფი 45, პენიშნა 13 შესაბამისად. შედეგად, ADB არ იყო იმ პოზიციაში, რათა დარწმუნებულიყო, რომ საბოლოო EIA თავის სრულყოფილებით და სისრულით შესაბამებოდა იმ პოტენციურ ზემოქმედებას და რისკებს, რომლებიც უკავშირდება PCR და განსაზღვრულია SPS, დანართი 1, 1 (იხილეთ პარაგრაფი 216).	დიახ	მოქმედება აუცილებელია
3.2 საბჭოს მიერ დადასტურების შემდეგ	საბჭოს მიერ დადასტურების შემდეგ, ADB-მა არ დააკმაყოფილა მონიტორინგის და ზედამხედველობის ვალდებულებები, რომლებიც გათვალისწინებული SPS პარაგრაფი		

	<p>58. შეუსაბამობა დაფიქსირდა ორი მიმართულებით:  (ა) ADB-მა საბჭოს მიერ დადასტურების შემდეგ არ უზრუნველყო PCR-ზე პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების ადეკვატური შეფასება და შერბილება, როგორც ეს SPS გარემოს უსაფრთხოების 2 და 4 პრინციპებით არის მოთხოვნილი და როგორც ეს NACHP და GEOGRAPHIC მიერ პროექტის დანერგვის დროს ჩატარებულმა დამატებითმა სამუშაოებმა აჩვენა პროექტი (იხილეთ პარაგრაფი 219).  (ბ) არ განხორციელდა პროექტის ზედამხედველობა ისე, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო PCR დაკავშირებულ რისკებზე რეაგირება იმ იერარქიის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია გარემოს დაცვის SPS მე-4 პრინციპით (იხილეთ პარაგრაფი 220).</p>	<p>არა</p> <p>არა</p>	<p>მოქმედება შეთავაზებულია</p> <p>მოქმედება შეთავაზებულია</p>
<p>4. სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედება და პროექტის სარგებელი</p>			
<p>4.1 უარყოფითი სოციალური ზემოქმედება</p>	<p>უარყოფითი სოციალური ზემოქმედების იდენტიფიკაციის და შერბილების კუთხით CRP მიიჩნევს, რომ ADB არ არის შესაბამისობაში საბჭოს წინ დამტკიცებული კომპლექსური ზედამხედველობის და განხილვის პასუხისმგებლობების კუთხით, რომლებიც გათვალისწინებულია SPS 56 პარაგრაფით, რადგან მან ვერ შეძლო SPS მე-2 და მე-4 პრინციპების შესაბამისად, საბოლოო EIA და EMP-ში შემდეგის გათვალისწინება:  (ა) კონტრაქტორებთან შეთანხმებული მიწის შესყიდვით გამოწვეული უარყოფითი სოციალური ზემოქმედების რისკების იდენტიფიცირება და ეფექტურად შერბილება;  (ბ) ადეკვატური შემარბილებელი ზომების მიღება თემისთვის მიწის ხელმისაწვდომობის ზემოქმედების შემცირებისთვის;  (გ) მინიმალური დასვენები გააკეთა პროექტის ვიზუალურ ზემოქმედებაზე, და ვერ შეძლო პროექტის ლანდშაფტზე</p>	<p>დიახ</p> <p>არა</p> <p>არა</p>	<p>მოქმედება აუცილებელია</p> <p>მოქმედება შემოთავაზებულია</p> <p>მოქმედება შემოთავაზებულია</p>

	<p>ზემოქმედების სოციალური საკითხის გათვალისწინება; და (დ) ადეკვატურად ვერ შეძლო ოპერაციული ფაზის პირობებში სოციალური ზემოქმედების იდენტიფიცირება და შერბილება, კერძოდ იმ ზემოქმედების, რომელიც უკავშირდება დაბინძურებას და ნარჩენებს, ასევე თემის უსაფრთხოებას.</p> <p>აღნიშნული ოთხი (4) გადაცდომა ნიშნავდა, რომ ADB არ იყო იმ პოზიციაში, რომ საბჭოს მიერ დამტკიცებამდე დაედასტურებინა პოტენციური სოციალური ზემოქმედება და პროექტთან ასოცირებული რისკები; და რომ ვერ შეძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან არიდების, მინიმუმამდე დაყვანის, და შერბილების ზომების უსაფრთხოების გეგმებში და პროექტის დიზაინში გათვალისწინება, როგორც ეს SPS 56 პარაგრაფით არის მოთხოვნილი. (იხილეთ პარაგრაფები 264 და 265).</p>	არა	მოქმედება შემოთავაზებულია
4.2 დადებითი ზემოქმედება და სარგებელი	<p>CRP მიიჩნევს, რომ ADB არ არის შესაბამისობაში OM ნაწილი C3 გათვალისწინებული პასუხისმგებლობების კუთხით, რომელიც შეეხება სოციალური საკითხების ADB ოპერაციებში გათვალისწინება, რათა საბჭოს მიერ დადასტურებამდე მომზადებული პროექტის სოციალური ანალიზში ზომები განისაზღვროს დანერგვის ეტაპებთან ერთად, რათა მაქსიმუმამდე გაიზარდოს თავად პროექტის სოციალური სარგებელი (იხილეთ პარაგრაფი 312).</p>	არ შეესაბამება: AMP პარაგრაფი 187 უკავშირდება „შეუსრულებელი მოლოდინები ვრცელდება ორივე მიგნებაზე“.	მოქმედების გარეშე
5. გენდერი			
5.1 ოპერაციული ფაზის ზემოქმედება გენდერზე	<p>CRP მიიჩნევს, რომ ADB არ არის შესაბამისობაში კომპლექსური დაკვირვების და განხილვის ვალდებულის კუთხით, რომელიც გათვალისწინებულია SPS 56 (1) და (2) პუნქტებით, და უკავშირდება ოპერაციული ფაზის ზემოქმედების გენდერული ასპექტების მსესხებლის საბოლოო EIA და EMP დოკუმენტებში ასახვას, რაც გათვალისწინებულია</p>	არა	მოქმედების გარეშე

	SPS გარემოს დაცვის მე-2 და მე-4 პრინციპებით. (იხილეთ პარაგრაფი 344).		
5.2 დადებითი გენდერული ზემოქმედების გაძლიერება	საბოლოო EIA შეეხება კონტექსტურ გამოწვევებს, რომლებიც აწუხებს ადგილობრივ მოსახლეობას, მათ შორის გზების ხელმისაწვდომობა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი და სხვა მომსახურებები. გენდერული საკითხები ამ პრობლემები მკაფიოდ არის ხაზგასმული ADB-ის გენდერული და სოციალური ანალიზის ანგარიშში. მაგრამ, ასახული არ არის მსესხებლის საბოლოო EIA ანგარიშში. ADB-მა არ უზრუნველყო გენდერული საკითხების საბოლოო EIA გათვალისწინება და პროექტის დადებითი გენდერული ზემოქმედების გაძლიერება, რაც გათვალისწინებულია SPS გარემოს დაცვის პოლიტიკის პრინციპით 4, და SPS დანართი 1, პარაგრაფი E. შესაბამისად, CRP მიაჩნია, რომ ADB არ არის შესაბამისობაში ზედამხედველობის და განხილვის პასუხისმგებლობების კუთხით, რაც SPS 56 პარაგრაფით არის გათვალისწინებული. (იხილეთ პარაგრაფი 346).	არ შეესაბამება: AMP პარაგრაფი 187 უკავშირდება „შეუსრულებელი მოლოდინები“.	მოქმედების გარეშე
<b>6. იძულებითი განსახლება</b>			
შემოსავლის და საცხოვრებელი პირობების აღდგენა	CRP გამოავლინა ADB შესაბამისობა საბჭოს მიერ დამტკიცებული კომპლექსური შემოწმების და განხილვის პასუხისმგებლობების კუთხით, რომლებიც განსაზღვრულია SPS 56 პარაგრაფით: (ა) ადეკვატური დახმარების გამოყოფა საცხოვრებელი პირობების აღდგენისთვის; და (ბ) არამატერიალური დახმარების გაწევა შემოსავლის და საცხოვრებელი პირობების აღდგენის და გაუმჯობესებისთვის LARP ფარგლებში, რაც ეწინააღმდეგება SPS დანართი 2-ის მე-12 და 21-ე პარაგრაფებს- იძულებითი განსახლება. (იხილეთ პარაგრაფი 392).	დიახ	მოქმედება აუცილებელია
<b>7. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა</b>			
	CRP არ აქვს საკმარისი მტკიცებულება ADB-ის მიერ განხორციელებულ მოქმედებაზე, რომელიც	არა	მოქმედება შეთავაზებულია

	<p>უზრუნველყოფს EMR-ში კონტრაქტორების გარემოს და სოციალური ვალდებულებების შესრულების ასახვას. CRP დაადგინა, რომ ADB არ აკმაყოფილებს განხილვის, მონიტორინგის და ზედამხედველობის პასუხისმგებლობებს, რომლებიც გათვალისწინებულია SPS 58-ე პარაგრაფით, და გულისხმობს შესაბამისი და ადეკვატური ინფორმაციის გამოქვეყნებას. (იხილეთ პარაგრაფი 440).</p> <p>CRP ანალიზის საფუძველზე, SEMP, SSEMP და TSEMP არის პროექტის უსაფრთხოების დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა SPS მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის. შესაბამისად, ისინი ექცევა SPS პარაგრაფი 71, AIP პარაგრაფი 15 (2), და OM ნაწილი L3 დანართი 3 ფარგლებში, და ექვემდებარება ADB-ის მიერ გამოქვეყნებას. CRP მიაჩნია, რომ ADB არ არის შესაბამისობაში SPS 71-ე პარაგრაფით, AIP მე-15 პარაგრაფით, და OM ნაწილი L3 გათვალისწინებული პასუხისმგებლობების კუთხით. (იხილეთ პარაგრაფი 445).</p> <p>იმის გათვალისწინებით, რომ NACHP სამუშაო წარმოადგენს PCR საბაზისო შეფასების ხარვეზებზე რეაგირებას, და ADB მენეჯმენტის კომენტარებზე დაყრდნობით მომზადდა SPS მოთხოვნების გათვალისწინებით, CRP მიიჩნევს, რომ NACHP მეორე შუალედური ანგარიში და CHGAP წარმოადგენს პროექტის უსაფრთხოების დოკუმენტების ნაწილს. შესაბამისად, ისინი ექცევა SPS, AIP მე-15 (2) პარაგრაფის და OM ნაწილი L3 დანართი 3 სფეროში, და ექვემდებარება ADB-ის მიერ გამოქვეყნებას. CRP მიიჩნევს, რომ ADB არ არის შესაბამისობაში SPS პარაგრაფი 71, AIP მე-15 (2) პარაგრაფის და OM ნაწილი L3 დანართი 3 გათვალისწინებული ვალდებულებების ფარგლებში</p>	<p>არა</p> <p>არა</p>	<p>მოქმედება შეთავაზებულია</p> <p>მოქმედება შეთავაზებულია</p>
--	---	-----------------------	---

	NACHP გამოუქვეყნებლების (იხილეთ პარაგრაფი 447).	შედეგების კუთხით.		
<b>8. მონიტორინგი და ზედამხედველობა</b>				
	CRP არ არის კმაყოფილი იმ ფაქტით, რომ ADB განხორციელებული ზედამხედველობის მოქმედებები არ პასუხობს პროექტის რისკებს და ზემოქმედებას. CRP მიიჩნევს, რომ ADB არ აკმაყოფილებს SPS პარაგრაფი 58 (4) გათვალისწინებულ მოთხოვნებს. (იხილეთ პარაგრაფი 463).	დიახ	მოქმედება აუცილებელია	

ADB= აზიის განვითარების ბანკი, CRP= შესაბამისობის შესწავლის კომისია, EIA= გარემოზე ზემოქმედების შეფასება, EMP= გარემოს მართვის გეგმა, EMR= გარემოზე ზემოქმედების ანგარიში, NACHP= საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, OM= ოპერაციული სახელმძღვანელო, SPS=უსაფრთხოების პოლიტიკის დებულება, PCR=ფიზიკური კულტურული რესურსები.

წყარო: შესაბამისობის შესწავლის კომისია

შენიშვნები:

a „მოქმედება აუცილებელია“- ნიშნავს ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკით 2012 (AMP) 190 პარაგრაფით გათვალისწინებულ მაკორექტირებელ მოქმედებებს, რომლებიც უნდა მომზადდეს პროექტის მენეჯმენტის მიერ.

b „მოქმედება შეთავაზებულია“- მიუთითებს მაკორექტირებელ მოქმედებაზე, რომელიც არ არის აუცილებელია AMP 190 პარაგრაფით, მაგრამ რეკომენდირებულია CRP-ის მიერ მენეჯმენტის მაკორექტირებელ მოქმედებასთან ერთად, რათა მოხდეს რეაგირება პირდაპირი და მატერიალური ზიანის ნარჩენ რისკებზე.

c „მოქმედების გარეშე“- ნიშნავს, რომ მენეჯმენტის მიერ მოთხოვნილი ან შეთავაზებული არ არის მაკორექტირებელი მოქმედება, რადგან (ა) ADB-ის შესაბამისობას არ გამოუწვევია პირდაპირი და მატერიალური ზიანი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობისთვის; და/ან (ბ) მომავალი ზიანი ნაკლებად სავარაუდოა და შესაბამისად მკაფიოდ არ არის განსაზღვრული OGC 2019 წლის თებერვლის სახელმძღვანელოში; და/ან (გ) პუნქტში 4.2 დადებითი ზემოქმედების და პუნქტში 5.2 სარგებელის შესახებ მიგნებების არსებობისას, CRP არ აქვს მანდატი გამოავლინოს ზიანი, რადგან საკითხზე ვრცელდება AMP პარაგრაფი 187 “შეუსრულებელი მოლოდინები” დებულება.

### **დანართი 3- მონიტორინგის მისიის შეხვედრის დამსწრეების სია**

შესაბამისობის შესწავლის კომისია (CRP) შეხვდა ქვემოთ ჩამოთვლილი პირებს აზიის განვითარების ბანკის (ADB) თანხლებით და მის გარეშე. შეხვედრები გაიმართა პროექტის მონიტორინგის მისიის ფარგლებში. ეს სია შეიძლება არ იყოს ამომწურავი, რადგან არ მოიცავს იმ პირებს, რომლებმაც მოითხოვეს მათი ვინაობის კონფიდენციალობის დაცვა.

#### **რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო- საავტომობილო გზების დეპარტამენტი (MRDI-RD)**

1. სალომე წურწუმია, დირექტორის მოადგილე
2. ლუიზა ბუბაშვილი, გარემოს დაცვის სპეციალისტი
3. რუსუდან ლოლიჯაშვილი, გარემოს დაცვის სპეციალისტი
4. მიხეილ უჯმაჯურიძე, სოციალური უსაფრთხოების სპეციალისტი

#### **სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტო (SUDA)**

1. ირაკლი ჭუმბურიძე, იურიდიული, ნორმატიული და აკადემიური პროგრამების დეპარტამენტის უფროსი
2. გიორგი არჩაია, ეროვნული პროექტის მენეჯერი (ADB)

#### **არასამთავრობო ორგანიზაცია**

1. ირინა სვანიძე, მწვანე ალტერნატივა

#### **პროექტის კონსულტანტები**

1. ტატო ქარელიძე, მეკავშირე ოფიცერი
2. თამარ ლაზარაშვილი, სოციალური და გარემოს დაცვის სპეციალისტი

#### **შპს „CHINA RAILWAY TUNNEL GROUP CO.“- კონტრაქტორი გვირაბის მონაკვეთისთვის (ლოტი 1)**

1. ილი იანჯი, HSE ხელმძღვანელი
2. ჩენ რაოლონგი, პროექტის მენეჯერი
3. ვ. მელია, მენეჯერი
4. ლელა ბაჩიაშვილი, გარემოს დაცვის ინჟინერი
5. პ. ჩანქობაძე, გარემოს დაცვის სპეციალისტი
6. ვან იონი, ადმინისტრაციული მენეჯერი

#### **შპს „CHINA RAILWAY 23rd BUREAU GROUP CO.“- კონტრაქტორი გზის მონაკვეთის მშენებლობისთვის (ლოტი 2)**

1. გოჩა მღებრიშვილი, პერსონალი (სოციალური)
2. კობა გვალია, პერსონალი (ჯანდაცვა და უსაფრთხოება)
3. ვან ბო, პერსონალი (ჯანდაცვა და უსაფრთხოება)
4. ვან ქსი, პერსონალი (კომერციული და ლოგისტიკის საკითხები)
5. ბექა, პროექტის მენეჯერი
6. თამთა კაპანაძე, გარემოს და ბიომრავალფეროვნების მენეჯერი
7. ოლგა წიქორიძე, გარემოს დაცვის სპეციალისტი



8. იან ი, პროექტის მენეჯერი
9. ტან იუნმეი, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
10. ტან შაო პინი, ოფისის მენეჯერი

**ULUSLARARASI BIRLEŞMIŞ MÜŞAVIRLIK A.Ş. (UBM)- მშენებლობის ზედამხედველობის კონსულტანტი**

1. პაატა თავდგირიძე
2. ამისან ნადირაშვილი
3. გიორგი ლალიძე
4. სიმონ ჩაჩანიძე
5. თამარ ჯავახი
6. აბდულ ჰამედი
7. ერსინ მოთუ
8. თაკო ჯავახი

**დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის სამსახური**

1. მანანა (მაცაცო) ნარიმანიძე, მერი

**სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)**

1. ანუკი ნაცვლიშვილი, პროექტის მენეჯერი
2. გვიდო აგოსტინუჩი, ოპერაციების უფროსი

**ADB პერსონალი**

1. ლესლი ლაჰმი, საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის ხელმძღვანელი
2. ზაიგამ ალი აუნარ ნაქვი, ტრანსპორტის უფროსი სპეციალისტი, ტრანსპორტის სექტორის სამსახური და პროექტის გუნდის ხელმძღვანელი
3. ნინეტ პაჯარილაგა, უსაფრთხოების უფროსი სპეციალისტი (გარემო), უსაფრთხოების სამსახური (OSFG)
4. სონა პგოსიანი, უსაფრთხოების სპეციალისტი (სოციალური), OSFG
5. ნინო ნადაშვილი, უსაფრთხოების ოფიცერი, OSFG
6. თეა პაპუაშვილი, პროექტის ოფიცერი (ინფრასტრუქტურა), საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა